დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

1. ქართული ფილოლოგია - ბაკალავრიატი
2. ქართული ლიტერატურა - მაგისტრატურა
3. ქართველური ენათმეცნიერება - მაგისტრატურა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
26-27. 01. 23

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
21. 02. 23

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	247865289
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რამაზ ქურდაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფხაკაძე,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს ბიზნეს ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, შპს ბიზნეს ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქართული ფილოლოგია	ქართული ლიტერატურა	ქართველური ენათმეცნიერება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი	ქართული ლიტერატურის მაგისტრი	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობითაკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 13.12.2012 წ. გადაწყვეტილების ნომერი 794	აკრედიტებული 13.12.2012 წ. გადაწყვეტილების ნომერი 804	აკრედიტებული 26.08.2012 წ. გადაწყვეტილების ნომერი 25/271

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულია სამი პროგრამა: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა. საბაკალავრო პროგრამა „ქართული ფილოლოგია“ დაწესებულებაში მოქმედებს 2009 წლიდან, ხოლო სამაგისტრო პროგრამები: „ქართული ლიტერატურა“ და „ქართველური ენათმეცნიერება“ – 2010 წლიდან. სამივე პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები შეესაბამება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებს. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ძირითადი საფუძველი არის ფილოლოგიის დარგი, კერძოდ, ქართული ფილოლოგია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 6 23 0000047375 (18/01/2023) თანახმად, 2023 წლის 26-27 იანვარს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციურ რეჟიმში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ფილოლოგიის კლასტერში შემავალი “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო პროგრამი, „ქართული ლიტერატურისა“ და „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამების (შემდგომში - პროგრამები) შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, რამაზ ქურდაძე, ნინო ფხაკაძე, თამარ გვიანიშვილი, ლიანა ზაგაშვილი. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ფილოლოგიის კლასტერში შემავალი პროგრამების მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები დისტანციურად ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

დასასრულს, დაწესებულების ხელმძღვანელობას წარედგინა ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

  პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

კლასტერული რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნების დაკონკრეტება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.
- რეკომენდებულია სწავლის შედეგების სრულფასოვნად ასახვა პროგრამის მიზნებში და სასწავლო კურსებში. სახელდობრ, სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და სასწავლო კურსებთან.
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები იყოს მოქნილი, რათა ნათლად გამოჩნდეს გასაუმჯობესებელი საკითხები.
- რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და პროგრამების სტრუქტურას შორის იყოს სრული კორელაცია.
- რეკომენდებულია განახლდეს და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
- განსახილველ კლასტერში თავიდან უნდა იქნეს აცილებული საგანთა გადაფარვა, მხედველობაში გვაქვს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამების საგანთა ისეთი სილაბუსები, როგორებიცაა: საბაკალავრო „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ და სამაგისტრო „ლექსიკოლოგია“; ანდა საბაკალავრო „ქართული ენის სინტაქსი“ და სამაგისტრო „ქართული წინადადება“.

- კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში შეტანილი ცალკეული თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სალექციო-სასემინარო დროის ხანგრძლივობას; მაგალითად, გაუმართლებელია, 3 საათიანი სალექციო-სასემინარო დრო დაეთმოს ისეთ მცირე მოცულობის თემას, როგორიცა *„მარცვალი და მისი აგებულება. დამარცვლისა და გადატანის წესები“* ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანში „ახალი ქართული ენა 1“.
- კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსებში დაზუსტდეს ტერმინოლოგია, სილაბუსებში საკითხთა თანმიმდევრობა დაემყაროს საგნების სპეციფიკას.
- კლასტერში გაერთიანებულ სასწავლო კურსებში მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულფასოვნად მითითება და თავიდან იყოს არიდებული უზუსტობები და ხარვეზები.
- ვინაიდან სასწავლო კურსები არ ითვალისწინებს უცხო ენათა ცოდნის წინაპირობებს, რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამებიდან ამოღებული იყოს მითითებული რუსულენოვანი ნაშრომები და სტუდენტებს მიეწოდოთ ლექტორების მიერ მომზადებული ამ ნაშრომთა ქართული ვერსიები რიდერების სახით.
- რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში დაზუსტდეს დარგობრივი ტერმინოლოგია.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კურსების, ან სხვა აქტივობების წილი პროგრამაში, რაც ხელს შეუწყობს ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვას.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამებში სწავლა-სწავლების მეთოდებში განისაზღვროს წერითი უნარების განმავითარებელი მეთოდები და აისახოს პროგრამებსა და სასწავლო კურსებში.
- რეკომენდებულია, მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში განისაზღვროს, რომ უარყოფითი, F შეფასებების შემთხვევაში სტუდენტი ჩაითვლება ჩაჭრილად და შეეძლება კრედიტის მოპოვება მხოლოდ საგნის ხელახლა გავლის შემთხვევაში.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმებინ ამოღებულ იქნეს, ან მინიმუმამდე შემცირდეს მაგისტრანტების ხელმძღვანელების შეფასების ქულობრივი წილი.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა (მათ შორის საერთაშორისო) და კვლევით პროექტებში, რისი შედეგებიც აისახება სათანადო სამეცნიერო ნაშრომებში, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს სასწავლო პროცესშიც.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური დონის გაუმჯობესება, სამეცნიერო ხელმძღვანელთა მეტი ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, დამატებითი ღონისძიებების გატარება აკადემიური სტანდარტის დაცვით სამეცნიერო ნაშრომების შესაქმნელად, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხარისხის ასამაღლებლად, რაც გულისხმობს სამეცნიერო სტილის მკაცრად დაცვას, რელევანტური წყაროების გამოყენებას.
- რეკომენდებულია დაწესებულებისთვის ქართული აკადემიური სივრცის გამოცდილების გაზიარება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობა, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, სხვა უსდ-ების სასწავლო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების გაზიარება.
- რეკომენდებულია, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს კონკრეტული საგანმანათლებლო-კვლევითი ორიენტირები სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარების კუთხით, უნდა გაუმჯობესდეს პროგრამების

ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების მაჩვენებელი.

- რეკომენდებულია, პროგრამის შიდა ხარისხის შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები, ასევე, განხორციელელდეს პროგრამის კომპლექსური შეფასება (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით);
- რეკომენდებულია, მოქმედ კანონმდებლობასთან კავშირში გადაიხედოს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტების ცალკეული ჩანაწერების შესაბამისობა და განხორციელდეს ცვლილებები;
- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგ--რამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე.
- რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს;
- რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
- რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი როგორც რესპოდენტების რაოდენობის, ისე მათ მიერ მიერ პროგრამის სხვადასხვა ასპექტების შეფასების შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების/რეკომენდაციების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დადგენა.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
- რეკომენდებულია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდეს საქართველოს უსდ-ების ანალოგიური პროგრამების დეტალური შესწავლა, შედეგების ანალიზი და ყოველივე ამის გამოყენება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგ-რამის სრულყოფისათვის.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

- პროგორამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის: "ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში", ან "ქართული ლიტერატურა ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში" შემუშავება.
- პროგორამის მიზნებთან და დასაქმების სფეროებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის: "საგამომცემლო საქმე" შემუშავება, ან ამ კომპეტენციების შესახებ ჩანაწერები ამოღებული იყოს პროგრამიდან.
- რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსი ჰქონდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შემსწავლელ სასწავლო კურსს.
    - რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "აკადემიური წერა" აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები.

- რეკომენდებულია, შეივსოს სასწავლო კურსების: ლიტმცოდნეობის შესავალი, მე-19 საუკუნის ლიტერატურა, რუსთველოლოგია, ქართული პალეოგრაფია, ქართული ენის პრობლემური კურსი, მე-20 საუკუნის ლიტერატურა, საეკლესიო მწერლობის ზოგადი კურსი, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს სასწავლო კურსების "ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2" და "ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 3" მიზნები და თავიდან იყოს აცილებული მათი დუბლირება.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ახალი ქართული ენა 4" გადამუშავდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხების აღრევა.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "ახალი ქართული ენა 6", დაზუსტდეს ტერმინოლოგია და "რთული შემასმენლის" ნაცვლად გამოიყენებოდეს ტერმინი "შედგენილი შემასმენელი.

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა

- რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსი ჰქონდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შემსწავლელ სასწავლო კურსს.
- რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში აისახოს ძველი ქართული ლიტერატურის მე-17-მე-18 საუკუნეების ავტორთა შემოქმედება.
- რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში აისახოს ლიტერატრათმცოდნეობითი მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი.
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "ადამიანის პრობლემა ლიტერატურაში", რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ქართულენოვანი ნაშრომებით.
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსის, "ქართული რომანტიზმი", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს უახლეს პერიოდში გამოცემული ნაშრომებით. მათ შორის, მაგალითად: "ქართული რომანტიზმი, ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2012. სრული ვერსია იხ. https://rustaveli.org.ge/res/docs/aa9db338664ff77ca369354a08ca0ae7443080de.pdf თამარ ლომიძე, "ქართული რომანტიზმის პოეტიკა", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, სრული ვერსია იხ. http://eprints.iliauni.edu.ge/2687/1/qartuli%20romantizmis%20poetika%20%2810%29.pdf და სხვ.
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსის, "ქართული რეალიზმი", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს უახლეს პერიოდში გამოცემული ნაშრომებით. მათ შორის, მაგალითად: "ქართული რეალიზმის სათავეებთან", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015. იხ. სრული ვერსია: https://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart,real-XIX.pdf "ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015. იხ. სრული ვერსია: https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf და სხვ.
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსის,: "აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს რელევანტური ნაშრომებით.
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსის,: "ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს რელევანტური ნაშრომებით.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სახელწოდებაში "ვაჟათმცოდნეობა" შესწორდეს ხარვეზი და ეწოდოს ვაჟასმცოდნეობა, ან, ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება, როგორც ეს არის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების სწავლებისათვის განსაზღვრულ სასწავლო კურსებში.
- რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

- შესაბამისი დარგის სპეციალისტების არყოლის გამო რეკომენდებულია, ქართველური ენათმეცნიერების პროგრამა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემოიფარგლოს ქართულის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხების, ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემების სწავლებით.
- რეკომენდებულია, საგანს „ქართველური ფონემატური სტრუქტურა (ისტორიული ფონეტიკა)", შეეცვალოს სათაური, მით უმეტეს, რომ ეს სილაბუსი მხოლოდ ქართული მასალის საფუძველზეა აგებული და მასში არ ჩანს ისტორიული ასპექტი.
- რეკომენდებულია, საგანს "ქართველური ონომასტიკა", შეეცვალოს სათაური და გადამუშავდეს.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს: ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი 1 და 2 შეეცვალოს სათაური, ეწოდოს ქართული დიალექტოლოგია და თემატიკა დაემყაროს ქართული ენის დიალექტების სწავლებას.
- რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**
  - სასურველია, სასწავლო კურსში "აკადემიური წერა" სტუდენტთა არგუმენტირებული ნაშრომების შემოწმება მოხდეს ანტიპლაგიატ პროგრამის გამოყენებით შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთვით.
  - სასურველია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში.
  - სასურველია, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში.
  - სასურველია, სტუდენტებმა რეგულარულად გამოიყენონ დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართები აკადემიური და სამსახურეობრივი დანიშნულებით.
  - სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემების წარმოდგენის საერთო ფორმა და პერსონალი ვალდებული იყოს, პერიოდულად განაახლოს ეს მონაცემები.

- სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის ტრენინგები ტარდებოდეს ხშირად და ჰქონდეს მიზნობრივი ხასიათი.
- სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების მექანიზმები ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ ჰქონდეს ერთეული შემთხვევების სახე.
- სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სწავლების ელექტრონული მართვის სისტემა.
- სასურველია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა სტუდენტებმა ინტენსიურად გამოიყენონ დაწესებულებაში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას.
- სასუურველია, დაწესებულებას ჰქონდეს საბიბლიოთეკო რესურსის განახლების მექანიზმები და მუდმივად ახლდებოდეს საბიბლიოთეკო ბაზა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.
- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში შეტანილი არჩევითი ლიტერატურა დაცული იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
- მიზანშეწონილია მაგისტრატურის პროგრამების ბიუჯეტში იყოს გათვალისწინებული მაგისტრანტთა კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის საკითხი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციებისა და რჩევების გაცნობის შემდგომ დაწესებულებამ გამოაგზავნა არგუმენტირებული პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულების მიერ ფაქტობრივი შეუსაბამობები არ დასტურდება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

---

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: <u>საჭიროების შემთხვევაში</u>** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებულია სამი პროგრამა: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები აღწერილია სწავლის ძირითადი სფეროს, ფილოლოგიის დარგის შესაბამისად, მიზნები ძირითადად ორიენტირებულია მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური ღირებულებების მატარებელი იქნება. კლასტერში გაერთიანებული პროგრამები შეესაბამება დაწესებულების მისიას. ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ძირითადი ასპექტები ასახულია პროგრამებში ფართოდ და ზოგადად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)[6]

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნებია: სტუდენტს მისცეს ფილოლოგიურ მეცნიერებასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ფართო ცოდნა, მათ შორის გააცნოს ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კვლევების ზოგიერთი უახლესი ასპექტი;

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

შესწავლოს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვა, კომენტირება და ინტერპრეტაცია; შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ასპექტები. დაეუფლოს პრაქტიკულ უნარებს ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და საგამომცემლო საქმის სფეროებში; ხელი შეუწყოს ქართული ლიტერატურის და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში. პროგრამის მიზანია, ბაკალავრს ფილოლოგიის სპეციალობით ჰქონდეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ კომპლექსური ცოდნა, რათა მან პედაგოგიური მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში შეძლოს დასაქმება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში, ასევე შეეძლოს მუშაობა მასმედიის და საგამომცემლო სფეროში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე კი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება; კურსდამთავრებულის ფართო ჰუმანიტარულ–ფილოლოგიურ განათლება და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ჩვევები, მას არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების საშუალებასაც აძლევს.

პროგრამის მიზნებში ფართოდ და ზოგადად არის წარმოდგენილი ქართული ფილოლოგიის ზოგიერთი ასპექტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები ემყარება ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა ვინაიდან ფართოა, დეტალურად ვერ ასახავს მას. პროგრამას ერთვის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა, სადაც მიზნები სწავლის შედეგებთან არის შეფარდებული. რუკა იძლევა დაზუსტებულ სურათს, რომელი მიზანი სწავლის რომელ შედეგთან არის კავშირში. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია შრომის ბაზარი, კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობანი, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობისათვის. პროგრამის მიზნები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნებია მისცეს სტუდენტს მაგისტრის კვალიფიკაციის შესაბამისი ღრმა და სისტემური დარგობრივი ცოდნა ქართულ ლიტერატურაში, რათა მეტი სიღრმით შეისწავლოს ქართული ლიტერატურის სტრუქტურა და ისტორია. ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა; ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის დანიშნულებისა და მნიშვნელობის გაცნობა; მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ცოდნა, მისი ანალიზი ტრადიციისა და თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციების კონტექსტში. ლიტერატურის შემსწავლელი კრიტიკული სკოლებისა და მეთოდების ცოდნა; ცოდნა, რომლის საფუძველზეც სტუდენტს განუვითარდება პრაქტიკული უნარები პედაგოგიური საქმიანობის წარმატებით გასაგრძელებლად (დამატებით პედაგოგიური პროგრამის გავლის შემთხვევაში), გამოუმუშავდება მეცნიერული პატიოსნებისა და ღირსების შეგნება, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო ჩვევები.

პროგრამის მიზნებში ასახულია ქართული ლიტერატურის დარგის ძირითადი და მნიშვნელოვანი ასპექტები. პროგრამას ერთვის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა, სადაც მიზნები სწავლის შედეგებთან არის შეფარდებული. რუკა იძლევა დაზუსტებულ სურათს, რომელი მიზანი სწავლის რომელ შედეგთან არის კავშირში. ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. პროგრამის მიზნები ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასაიათებელს და ასახავს მის ძირითად ტენდენციებს, თუმცა რამდენიმე საკითხი, რომელიც ასახულია დარგობრივ მახასიათებელში, ზოგადად არის ასახული პროგრამის

მიზნებში, რაც ერთი მხრივ, გასაგებს ხდის პროგრამის ზოგად მიზნებს, თუმცა, ამავდროულად, იწვევს გარკვეული დაზუსტების საჭიროებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია მოამზადოს ქართული ენის კვალიფიციური სპეციალისტები. კერძოდ, მაგისტრანტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა: ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკის, მორგოლოგიის, სინტაქსის აქტუალური საკითხების შესახებ; ქართული სალიტერატურო ენის დიალექტების ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებების შესახებ; ქართული ენის სხვადასხვა დარგთა პრობლემური და აქტუალური საკითხების შესახებ. მაგისტრანტმა შეძლოს ქართული სალიტერატურო ენის კილოთა სპეციფიკურობა-თავისებურებათა შეფასება-ანალიზი (ან განსაზღვრა), დიალექტოლოგიურ ტექსტებზე მუშაობა; ქართული ლექსიკოლოგიისა და ონომასტიკის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების განსაზღვრა, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ენათმეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

პროგრამის მიზნებში ასახულია ენათმეცნიერების დარგის ძირითადი და მნიშვნელოვანი ასპექტები. პროგრამას ერთვის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა, სადაც მიზნები სწავლის შედეგებთან არის შეფარდებული. რუკა იძლევა დაზუსტებულ სურათს, რომელი მიზანი სწავლის რომელ შედეგთან არის კავშირში. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. პროგრამის მიზნები ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასაიათებელს და ასახავს მის ძირითად ტენდენციებს, თუმცა რამდენიმე საკითხი, რომელიც ასახულია დარგობრივ მახასიათებელში, ზოგადად არის ასახული პროგრამის მიზნებში, რაც ერთი მხრივ, გასაგებს ხდის პროგრამის ზოგად მიზნებს, თუმცა, ამავდროულად, იწვევს გარკვეული დაზუსტების საჭიროებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- ქართული ლიტერატურის სამაგისრო პროგრამა
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- „ტასუ“-ს „პირველი და მეორე საფეხურის უმღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
- დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების
- უზრუნველყოფის წესი“
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, სამივე პროგრმისათვის
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნების დაკონკრეტება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება [7]

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგებში ასახულია ფილოლოგიის დარგის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებით გათვალისწინებული საკითხები, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს.

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სამივე პროგრამას აქვს მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუქები. აღსანიშნავია, რომ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები მიზნებთან შედარებით უფრო დაკონკრეტებულია და უკეთ ასახავს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს. სწავლის შედეგებით აღწერილი საკითხები უნდა აისახოს სასწავლო კურსების სილაბუსებში, თუმცა ამ შემთხვევაში გვხვდება გარკვეული შეუსაბამობები სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის, რაც ასახულია 1. 5. სტანდარტში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია სამი ძირითადი კომპონენტის: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სწავლის შედეგები მოიცავს ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის მიმართულებით იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც განსაზღვრულია ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლით. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ქართველური ენების მიმართულებაში აქვს ფართო ცოდნა: ქართული სალიტერატურო ენის ნორმების; ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში; ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკის; ქართული ენის სტრუქტურისა და განვითარების ისტორიაში. ქართული ლიტერატურის მიმართულებაში იცის: ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია; ქართული ლიტერატურის ჟანრები, ქრესტომათიული ტექსტები და მათი ავტორების ბიოგრაფიები. აცნობიერებს ქართული ფილოლოგიის კომპლექსური საკითხების ძირეულ კავშირს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის თეორიის ძირითად პრობლემებთან, აგრეთვე, ქართული ენისა და ლიტერატურის ადგილსა და როლს ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში; ფილოლოგიური ცნებებით ოპერირება; მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა ქართულ ენაზე; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვება, მათი აღწერა და ინტერპრეტაცია; ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება. კურსდამთავრებულს შეუძლია ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვებისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება; ჩამოყალიბებული აქვს: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვითა და ქართული ლიტერატურული მასალის გამოყენებით.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და ფილოლოგიის დარგის თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მიზნებთან შედარებით უფრო დაკონკრეტებულია და უკეთ ასახავს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამის სწავლის შედეგებით აღწერილი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა აღწერილია ლოგიკურად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია სამი ძირითადი კომპონენტის: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სწავლის შედეგები მოიცავს კურსდამთავრებულისათვის ქართული ლიტერატურის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემის ასახვას. კეძოდ, კურსდამთავრებულმა იცის: ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია; ქართული ლიტერატურის ჟანრები, ქრესტომათიული ტექსტები და მათი ავტორების ბიოგრაფიები; აცნობიერებს ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის დანიშნულებასა და მნიშვნელობას; აანალიზებს ქართული ლიტერატურის კომპლექსური საკითხების მიმართებებს ლიტერატურის თეორიის ძირითად პრობლემებთან; განსაზღვრავს ქართული

ლიტერატურის ადგილსა და როლს ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში. იცნობს მიმდინარე ლიტერატურული პროცესებსა და მისი განვითარების ტენდენციებს, ასევე ლიტერატურის შემსწავლელ კრიტიკულ სკოლებსა და მეთოდებს; შესძლებს: ლიტერატურული ნაწარმოებების სიღრმისეულ ანალიზსა და კრიტიკულ შეფასებას; ფილოლოგიური ცნებებით ოპერირებას; თხზულების ან პრობლემის განხილვას ისტორიულ და კულტურულ ჭრილში, კომენტირება-ინტერპრეტირებას; შესძლებს: ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავებას, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას; ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებას; ლიტერატურული ტექსტების აღწერასა და ინტერპრეტაციას. შეუძლია ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება. შეუძლია ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვება და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება; ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად არგუმენტირება; ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გაკეთება; ექნება პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის გამოყენებით. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა; სწავლებისა და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ქართულ ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენება. შესწევს დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი; სასწავლო მიზნით დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების მიხედვით განივითაროს შემდგომში მეცნიერული მუშაობისა თუ დასაქმების მიმართულების განსაზღვრის უნარი.

ქართული ლიტერატურის პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და ფილოლოგიის დარგის თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მიზნებთან შედარებით უფრო დაკონკრეტებულია და უკეთ ასახავს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამის სწავლის შედეგებით აღწერილი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გადმოცემულია ლოგიკურად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია სამი ძირითადი კომპონენტის: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მიხედვით. სწავლის შედეგებში ასახულია ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი და საკვანძო საკითხები. კერძოდ, პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ღრმად და სისტემურად ეცოდინება ქართული ენის ფონემატური საკითხები, სახელის თავისებურება ქართულში, სახელის ფუძის დერივაციული მოდელი, ბრუნვათა ფუნქციები, ზმნური კატეგორიები, ზმნურ კატეგორიათა ფორმირებისა და წარმოების საკითხები, ზმნურ ფორმათა წარმოების ყალიბი, ზმნის კონსტრუქციები, ქართული ენის წინადადების სტრუქტურა, თავისებურება, შესიტყვების აგებულება და შედგენილობის საკითხები; ქართული ენის დიალექტების გრამატიკული თავისებურებანი, ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხები; სახელზმნის მოდელის ცვლის მექანიზმი ისტორიული თვალსაზრისით, ონიმთა წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი, ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხები, ქართული ენათმეცნიერების ცალკეული პრობლემები, ამ პრობლემათა გადაჭრის გზები. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს: ქართული ენის ფონემატურ, სახელურ და ზმნურ კატეგორიათა, წინადადების სტრუქტურა -მექანიზმის თავისებურებათა ანალიზს, შეფასებას, ენათმეცნიერული ფაქტების ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებას, კრიტიკულ ხედვას, კვლევის შედეგების განზოგადებასა და წარდგენას აკადემიური საზოგადოებისათვის; ქართული ენის დიალექტთა ძირითადი და საკვანძო საკითხების კლასიფიკაციას, პრობლემების გადაწყვეტის გზების

განსაზღვრა-მოძიებასა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ენათმეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ქართული ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგთა პრობლემური საკითხების დიფერენცირებას, მათ კრიტიკულ ანალიზს, საკამათო საკითხებზე დისკუსიას თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით, საკუთარი შეხედულების (თვალსაზრისის) ნათლად, აკადემიურად წარმოდგენას.

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და ფილოლოგიის დარგის თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მიზნებთან შედარებით უფრო დაკონკრეტებულია და უკეთ ასახავს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამის სწავლის შედეგებით აღწერილი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გადმოცემულია ლოგიკურად. სწავლის შედეგებით აღწერილი საკითხები უნდა აისახოს სასწავლო კურსების სილაბუსებში, თუმცა ამ შემთხვევაში გვხვდება გარკვეული შეუსაბამობანი სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის, რაც ასახულია 1. 5. სტანდარტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- ქართული ლიტერატურის სამაგისრო პროგრამა
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- „ტასუ“-ს „პირველი და მეორე საფეხურის უმღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, სამივე პროგრმისათვის
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების სრულფასოვნად ასახვა პროგრამის მიზნებში და სასწავლო კურსებში. სახელდობრ, სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და სასწავლო კურსებთან.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისათვის მოქმედებს დაწესებულებაში დანერგილი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები“. აღნიშნული წესი ვრცელდება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისი მიზანია შედეგების შეფასების გზით სტუდენტის სასწავლო დატვირთვის მისადაგება მისივე აკადემიური მოსწერების საშუალო მაჩვენებელთან. ამ მიზნით დაწესებულება ახორციელებს სწავლის შედეგების პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებას.

პირდაპირი შეფასების მექანიზმია სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი რომელიც ითვალისწინებს სილაბუსის დონეზე უშუალოდ პროგრამის სწავლის შედეგთან დაკავშირებული შედეგის შეფასების მაჩვენებელს (A, B, C, D, E ნიშნულები).

სწავლის შედეგის არაპირდაპირი შეფასების მექანიზმია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. კურსდამტავრებული ამას აკეთებს მიღწეული შედეგისადმი კმაყოფილების აღწერით, ხოლო დამსაქმებელი ორგანიზაციაში დასაქმებული პირის (კურსდამთავრებული) ცოდნისა და უნარების მიხედვით.

დაწესებულება თავდაპირველად აგროვებს მონაცემებს, ხოლო შემდგომ ხდება შეგროვებული მონაცემების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, როგორებიცაა დიაგრამები, კომენტარები და სხვ. ამ დროს განისაზღვრება პროგრამის სწავლის შედეგის მიღწეული დონე. ამის შემდგომ ხდება მიღებული შედეგის დადარება სამიზნე ნიშნულებთან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი საბოლოო ჯამში ითვალისწინებს განისაზღვროს თუ რამ განაპირობა ამა თუ იმ სწავლის შედეგის მაღალი ან დაბალი მაჩვენებელი

სამიზნე ნიშნულღან მიმართებაში. მიზეზებად შეიძლება განიხილებოდეს სასწავლო კურსის შენაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები, რესურსების ხელმისაწვდომობა, შეფასების ფორმები და სხვა საკითხები, რომლების პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს სტუდენტის აკადემიურ მაჩვენებელზე.

კლასტერში დაჯგუფებული სამივე პროგრამისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების გეგმა და სშეფასების რუბრიკები, სადაც სწავლის შედეგები ყველა ნიშნულის მიხედვით არის გაწერილი სილაბუსების დონეზე. ამავდროულად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები. დოკუმენტი ფართოდ ასახავს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს. პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებში დაწესებულებას ჩატარებული აქვს კლასტერში გაერთიანებული სამივე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი სასწავლო კურსების მიხედვით და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა. თუმცა, ჩანს, რომ კურსდამთავრებულები პროცენტულად უმაღლეს შეფასებას აძლევენ სწავლის შედეგების შეფასებას. სწავლის შედეგების შეფასებისას არ გამოჩნდა პრობლემური საკითხები და მათი ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები იყოს მოქნილი, რადგან სწავლის შედეგების შეფასება უნდა გამოიყენებოდეს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

- ცალკე აღწერის საჭიროება არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- ქართული ლიტერატურის სამაგისრო პროგრამა
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- „ტასუ“-ს „პირველი და მეორე საფეხურის უმღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, სამივე პროგრმისათვის
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები იყოს მოქნილი, რათა ნათლად გამოჩნდეს გასაუმჯობესებელი საკითხები.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტრუქტურა ეყრდნობა დაწესებულების მოთხოვნებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე. დაწესებულებაში მოქმედებს უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, სადაც გაწერილია პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო პარამეტრები. დაწესებულების სტანდარტი პროგრამის სტრუქტურაში მოიცავს ძირითად და დამატებით სპეციალობებს, სასწავლო კურსების სტანდარტებსა და სილაბუსის სტრუქტურასაც. დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის სტრუქტურის როგორც შემუშავების, ისე შეფასების ფორმა, რომლის მიხედვითაც ახალი პროგრამები მოწმდება.

ფილოლოგიის კლასტერში შემავალი პროგრამების სტრუქტურაში ძირითადი კომპონეტებია: სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა, წინაპირობების ცხრილი, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი დონეების მითითებით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).

კლასტერში გაერთიანებული პროგრამები თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად, უზრუნველყოფს სწავლის შედეგებით გათვალისწინებული ცოდნის გადაცემას. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და პროგრამების სტრუქტურას შორის იყოს სრული კორელაცია. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პრორგამასა და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამებში, ქართველური ენათმეცნიერების ნაწილში, ჩანს სტრუქტურული ხარვეზი, ისწავლება ქართველური ენებიდან მეგრული, ხოლო სვანური არ ისწავლება, რაც, დაწესებულების განმარტებით, გამოწვეულია სპეციალისტების ნაკლებობით.

კლასტერში გაერთიანებული ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამებში, ლიტერატურის ნაწილში შეინიშნება სტრუქტურული მიდგომა: სავალდებულო საგნების ბლოკშია ძველი ქართული ლიტერატურის, ახალი ქართული ლიტერატურისა და უახლესი ქართული ლიტერატურის შემსწავლელი საგნები, ხოლო არჩევითი საგნების სტატუსი აქვს უახლესი ქართული ლიტერატურის შემსწავლელ სასწავლო კურსს ორივე პროგრამაში. მნიშვნელოვანია, რომ ქართული ლიტერატურა, თავისი განვითარების ყველა ეტაპითა და პერიოდით, სავალდებულო სასწავლო კურსებში ისწავლებოდეს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან. სტრუქტურულად კრედიტები დაყოფილია კომპონენტების მიხედვით:

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი, სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 120 კრედიტი, არჩვითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება – 10 კრედიტი და დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი.

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობაა 2, 3, 5 კრედიტი. აქედან სასქავლო კურსები: ფსიქოლოგია და ფილოსოფია ორკრედიტიანია, აკადემიური წერა და საქართველოს ისტორია სამკრედიტიანია, ხოლო უცხო ენების (ინსგლისური) ბლოკი, საოფისე პომპიუტერული პროგრამები და ქართული ხელოვნების ისტორია (ზოგადი კურსი) ხუთკრედიტიანია. კრედიტების განაწილების საკითხი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს შორის არ არის ერთმნიშვნელოვნად ნათელი.

სწავლის ძირითადი სფეროს ძირითადი საგნები მოიცავს 120 კრედიტს და ყველა საგანი ხუთკრედიტიანია. პროგრამის მიხედვით სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც 10 კრედიტის მოცულობისაა. არჩევითი საგნები ასევე 5 კრედიტიანებია.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში, ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, ასახულია ქართული ლიტერატურის ადგილისა და როლის კომპეტენციები ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში, თუმცა ამ უნარის შესასწავლი სასწავლო კურსი არ გვხვდება პროგრამაში. ასევე, პროგრამის მიზნებსა და დასაქმების სფეროებში მითითებულია, რომ სტუდენტმა უნდა შეისწავლოს საგამომცემლო საქმე, თუმცა პროგრამის სტრუქტურაში არ გვხვდება მსგავსი საგანი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან. მათ შორის, სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკი 80 კრედიტიანია. თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს 5 კრედიტის. არჩევითი სასწავლო კურსები 10 კრედიტიანია და თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს 5 კრედიტის. სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტიანია.

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად ეყრდნობა და ასახავს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს. თუმცა პროგრამის სტრუქტურაში არ გვხვდება ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ძველი ქართული ლიტერატურის შემსწავლელ სასწავლო კურსებს: ქართული ჰაგიოგრაფია,

ჰიმნოგრაცია, ქრისტიანული სახისმეტყველება, ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი 1 და 2, თუმცა სამაგისტრო პროგრამაის სტრუქტურაში არ არის მე-12 საუკუნის შემდგომი პერიოდის, ძველი ქართული ლიტერატურის შემსწავლელი კურსი/კურსები, რომელშიც შეისწავლება სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, არჩილის, თეიმურაზისა და სხვა ავტორების შემოქმედება და ლიტერატურული ტენდენციები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პრორგამა შედგება 120 კრედიტისაგან. ძირითადი სასწავლო კურსები შეადგენს 80 კრედიტს, არჩევითი სასწავლო კურსები კი 10 კრედიტს. თითოეული სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და შედგება 30 კრედიტისაგან.

სამაგისტრო პროგრამა ეყრდნობა ქართული ენის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა გხვდება გარკვეული შეუსაბამობანი, რაც პროგრამის სტრუქტურაშიც გამოიხატება. კერძოდ, პროგრამაში სათანადოდ არ არის ასახული ქართველური ენათმეცნიერების, მეგრულის, ლაზურისა და სხვანურის სწავლება. დაწესებულება მიუთითებს, რომ ეს გამოწვეულია სპეციალისტების ნაკლებობით. შესაბამისად, ვინაიდან განსახილველ კლასტერში შემავალი ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ქართველური ენების შესაბამისი სპეციელისტების არყოლის გამო სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხების; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემების სწავლებას, ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამა უნდა შემოიფარგლოს ქართულის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხების, ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემების სწავლებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- ქართული ლიტერატურის სამაგისრო პროგრამა
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- „ტასუ“-ს „პირველი და მეორე საფეხურის უმღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, სამივე პროგრმისათვის
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და პროგრამების სტრუქტურას შორის იყოს სრული კორელაცია.
-

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- პროგორამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის: "ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში", ან "ქართული ლიტერატურა ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში" შემუშავება.
- პროგორამის მიზნებთან და დასაქმების სფეროებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის: "საგამომცემლო საქმე" შემუშავება, ან ამ კომპეტენციების შესახებ ჩანაწერები ამოღებული იყოს პროგრამიდან.
- რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსი ჰქონდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შემსწავლელ სასწავლო კურსს.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსი ჰქონდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შემსწავლელ სასწავლო კურსს.
- რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში აისახოს ძველი ქართული ლიტერატურის მე-17-მე-18 საუკუნეების ავტორთა შემოქმედება.
- რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში აისახოს ლიტერატრათმცოდნეობითი მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- შესაბამისი დარგის სპეციალისტების არყოლის გამო რეკომენდებულია, ქართველური ენათმეცნიერების პროგრამა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემოიფარგლოს ქართულის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხების, ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემების სწავლებით.

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსები ასახავს საგნის ძირითად სპეციფიკას, მთავარ და არსებით საკითხებს. ფილოლოგიის დარგის სამივე პროგრამის სასწავლო კურსები ძირითადად, ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასწავლო კურსები საჭიროებს დაზუსტებას როგორც კლასტერულად, ისე ცალკეულ პროგრამებში.

ქართული ფილოლოგიის ორივე დარგის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით სასწავლო კურსებში გასაახლებელია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სასწავლო კურსებში ლიტერატურის მითითების დროს ხშირად გვხვდება ხარვეზები, ბიბლიოგრაფიული მონაცემები არაზუსტია, ან, არასრულყოფილად არის მითითებული (მაგალითად, სასწავლო კურსში "ვეფხისტყაოსნის ტექსტის ანალიზი 1" გ. თევზაძის ნაშრომი არასაწორად არის მითითებული "რუსთაველის კოსმეტოლოგია"..

კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში, როგორც ძირითად, ისე დამხმარე ლიტერატურაში, მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა, თუმცა არ გვხვდება ენობრივი წინაპირობები.

ენათმეცნიერების მიმართულებით, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებში თავიდან უნდა იქნეს აცილებული საგანთა გადაფარვა, მხედველობაში გვაქვს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამების საგანთა ისეთი სილაბუსები, როგორებიცაა: საბაკალავრო „ქართული ენის ლექსიკოლოგია" და სამაგისტრო „ლექსიკოლოგია"; ანდა საბაკლავრო „ქართული ენის სინტაქსი" და სამაგისტრო „ქართული წინადადება".

კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში შეტანილი ცალკეული თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სალექციო-სასემინარო დროის ხანგრძლივობას; მაგალითად, გაუმართლებელია, 3 საათიანი სალექციო-სასემინარო დრო დაეთ-მოს ისეთ მცირე მოცულობის თემას, როგორიცა *„მარცვალი და მისი აგებულება. დამარცვლისა და გადატანის წესები"* ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სა-განში „ახალი ქართული ენა 1".

როგორც უკვე აღინიშნა, ტერმინოლოგიას უნდა მიექცეს ყურადღება ლიტერატურის დასახელებების დრო-საც. კერძოდ, უნდა ჩასწორდეს ზოგი უმართებულოდ მოყვანილი ტერმინი ლიტე-რა-ტუ-რის და-სახელებებში. მაგალითად, სამ სილაბუსში ქართული ფილოლოგიის საბა-კა-ლავრო საგ-ნის „ახალი ქართული ენა 3" და ქართველური ენათმეცნიერების სა-მა-გის-ტრო პროგ-რამის სილაბუსებში: „ქართული ენის ზმნა I" და „ქართული ენის ზმნა II" მი-თი-თე-ბულია რ. ქურდაძის სტატია: „აბლაუტი როგორც ზმნათა სერი-ე-ბად და მწკრი--ვებად დაყოფის მორფოლოგიური საფუძველი ქართულში", ამ შემ-თხვევაში უნდა იყოს <u>მორფოფონოლოგიური საუძველი და არა მორფოლოგიური,</u> რადგან აბლაუტი ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საზიარო მოვლენაა.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსებში დასაზუსტებელია ტერმინოლოგია, სილაბუსების შედგენილობა, საკითხების თანმიმდევრულობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს ქართული ფილოლოგიის ორივე დარგის, ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის შესაბამის სასწავლო კურსებს. სასწავლო კურსების შინაარსი ეფუძნება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ კომპეტენციებ, თუმცა ვხვდებით გასაუმჯობესებელ საკითხებს. კერძოდ, საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი, "აკადემიური წერა", 3 კრედიტიანია. კურსის ფარგლებში არ გვხვდება აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის შესახებ თემა/თემები. ასევე, სილაბუსის მიხედვით არ არის განსაზღვრული სტუდენტთა არგუმენტირებული ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება.

როგორც აღინიშნა, სასწავლო კურსებში განსაახლებელი და შესავსებია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება სასწავლო კურსებს: ლიტმცოდნეობის შესავალი, მე-19 საუკუნის ლიტერატურა, რუსთველოლოგია, ქართული პალეოგრაფია, ქართული ენის პრობლემური კურსი, მე-20 საუკუნის ლიტერატურა, საეკლესიო მწერლობის ზოგადი კურსი.

სასწავლო კურსების "ძველი ქართული ლიტერატურა 2" და "ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 3" მიზნები ერთნაირია (დუბლირებულია). ორივეგან აღნიშნულია, რომ ითვალისწინებს მე-11-მე-18 საუკუნეების ქართველი საერო მწერლების შემოქმედების ძირითადი ტენდენციების სწავლებას, თუმცა მათი შინაარსი განსხვავდება. მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსების მიზნები დაკონკრეტდეს და მასში აისახოს კურსების თემატიკა, ზუსტი პერიოდები.

განსაკუთრებული ყურადღება უმდა მიექცეს სილაბუსებში გამოყენებულ ტერმინოლოგიას. სტუდენტებს მართებული, აპრობირებული ტერმინებით უნდა მიეწოდოს ესა თუ ის საკითხი. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის „ახალი ქართული ენა 6-ის" სილაბუსში ვხვდებით ასეთ თემას: *„შემასმენელი. მარტივი და რთული შემასმენელი. მარტივი შემასმენლის გამოხატვა. შემასმენელი. რთული შემასმენლის ტიპები. მეშველი ზმნები".* საენათმეცნიერო ტერმინს „რთულ შემასმენელს" ადრე-ულ ეტაპზე ძალიან იშვიათად იყენებდნენ. ეს ტერმინი სამართლიანად იქნა უარყოფილი კარგა ხნის წინ და მის ნაცვლად საკმაოდ დიდი ხანია ქართულ სინტაქსში დამკვიდრებულია „შედგენილი შემასმენელი" და შესაბამისად ეს უნდა იქნეს შეტანილი საანალიზო პროგრამის სათანადო სილაბუსებში.

ჩვეულებრივ სილაბუსი ერთი საგნის თემატიკის მიხედვით უნდა იქნეს შედგენილი. გაუმართლებელია ერთ სილაბუსში ორი საგნის საკითხების წარმოდგენა. ასეთია საანალიზო კლასტერის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი „ახალი ქართული ენა 4-ის" სილაბუსი. ამ სილაბუსში მორფოლოგიის და ლექსიკოლოგიის საკითხებს ვხვდებით ერთად, კერძოდ, I – VI თემები მორფოლოგიისაა: *ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული;* VII – X სალექციო თემები კი – ლექსიკოლოგიისა: *სემასიოლოგია, სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით: სრულმნიშვნელოვანი და არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები; სიტყვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა. სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა; სინონიმი,ომონიმი, ანტონიმი; ფრაზეოლოგიური და იდიომატური ლექსიკური ერთეულები. მათი მნიშვნელობა; ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის ისტორიული ცვალებადობა.* XI – XIII თემები კვლავ მორფოლოგიის საკითხებს ეთმობა, კერძოდ, მათში წარმოქმნისა და სახელზმნის საკითხბს ვხვდებით. ამგვარი აღრევის თავიდან აცილების მიზნით თითო სილაბუსი თითო საგანის თემატიკას უნდა მოიცავდეს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა).

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. სასწავლო კურსები ძირითადად ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა გვხვდება გარკვეული დასაზუსტებელი საკითხები.

სასწავლო კურსში "ადამიანის პრობლემა ლიტერატურაში" შეიცავს ერთადერთ სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც რუსულენოვანია: თანამედროვე დასავლეთევროპული ლიტერატურათმცოდნეობა, მოსკოვი, 1999. ამავე კურსის დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია სხვა რუსულენოვანი ნაშრომიც (ნაშრომი მითითებულია ქართულ ენაზე): ჰაიდეგერი, ევროპული ნიჰილიზმი, ადამიანი პრობ. დას,. ფილოსოფიაში, შემდგ, გურევიჩ პ. 1988 მოსკოვი. სასწავლო კურსის წინაპირობას არ წარმაოდგენს ენობრივი კომპეტენციები. აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო კურსის შინაარსი შესაძლებლობას იძლება სრულფასოვნად დაემყაროს ქართულენოვან, ასევე, დამატებით, ინგლისურენოვან ნაშრომებს.

სასწავლო კურსის, "ქართული რომანტიზმი", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა მოიცავს მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში გამოცემულ ნაშრომებს. აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია.

სასწავლო კურსის, "ქართული რეალიზმი", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა მოიცავს მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში გამოცემულ ნაშრომებს. აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია.

სასწავლო კურსების,: "აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება", "ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება" დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია ბმულები, რომლებიც საერთოდ არ შეესაბამება კურსის თემატიკას, უფრო მეტიც, ზოგი მათგანი რამდენიმე წელია, აღარ ფუნქციონირებს. ეს ბმულები მითითებულია სასწავლო კურსის თემებშიც. ამასთან, ორივე სასწავლო კურსში მითითებულია ერთიდაიგივე სასწავლო მასალა ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში. რასაკვირველია, სახელმძღვანელოთა ნაწილი ამ სასწავლო კურსებში შესაძლოა მეორდებოდეს, მაგრამ მაგისტრატურის კურსებში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მწერალთა შემოქმედებაზე შექმნილი სხვა, დამოუკიდებელი ნაშრომებითაც.

სასწავლო კურსის სახელწოდება "ვაჟათმცოდნეობა", ექსპერტთა აზრით, შეიცავს ხარვეზს. მას უნდა ეწოდოს ვაჟასმცოდნეობა, ან, ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება, როგორც ეს არის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების სწავლებისათვის განსაზღვრულ სასწავლო კურსებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

ქართველლური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. სასწავლო კურსები ძირითადად ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა გვხვდება გარკვეული დასაზუსტებელი საკითხები.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ქართველური ენების შესაბამისი სპეციელისტების არყოლის გამო სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხების; ამის გათვალისწინებით, პროგრამაში არსებული ზოგი საგანის სილაბუსი უნდა შეიცვალოს, კერძოდ, საგანს „ქარ-თვე-ლუ-რი ფონემატური სტრუქტურა (ისტორიული ფონეტიკა)", უნდა შეეცვალოს სათაური, მით უმეტეს, რომ ეს სილაბუსი მხოლოდ ქართული მასალის საფუძველზეა აგებული და მასში არ ჩანს ისტო-რიული ასპექტი; ამავე თვალსაზრისით გადასასინჯი და გადასაკეთებელია „ქართველური ონომასტიკის" სილაბუსიც.

ქართველური ენათმეცნეირების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში შეინიშნება ტერმინოლოგია, რომელიც სრულფასოვნად ვერ ასახავს დარგის მნიშვნელოვან საკითხებს. მათ შორის, სასწავლო კურსებში ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი 1 და ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი 2. მაგალითად, ტერმინები: ქართველური ქვესისტემები, ცენტრალური ქართველური კილოები, ქართველური კილოები და სხვ. აღსანიშნავია

ისიც, რომ ორ ნაწილად დაყოფილ კურსში არ არის ქართული ენის დიალექტების სწავლებაზე ორიენტირებული თემები. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰყავს ქართველური ენების სწავლებისათვის სპეციალისტები, მნიშვნელოვანია, გადამუშავდეს სასწავლო კურსები, ეწოდოს ქართული დიალექტოლოგია და თემატიკა დაემყაროს ქართული ენის დიალექტების სწავლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- ქართული ლიტერატურის სამაგისრო პროგრამა
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- „ტასუ“-ს „პირველი და მეორე საფეხურის უმღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, სამივე პროგრმისათვის
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია განახლდეს და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
- განსახილველ კლასტერში თავიდან უნდა იქნეს აცილებული საგანთა გადაფარვა, მხედველობაში გვაქვს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამების საგანთა ისეთი სილაბუსები, როგორებიცაა: საბაკალავრო „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ და სამაგისტრო „ლექსიკოლოგია“; ანდა საბაკალავრო „ქართული ენის სინტაქსი“ და სამაგისტრო „ქართული წინადადება“.
- კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში შეტანილი ცალკეული თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სალექციო-სასემინარო დროის ხანგრძლივობას; მაგალითად, გაუმართლებელია, 3 საათიანი სალექციო-სასემინარო დრო დაეთმოს ისეთ მცირე მოცულობის თემას, როგორიცა *„მარცვალი და მისი აგებულება. დამარცვლისა და გადატანის წესები“* ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანში „ახალი ქართული ენა 1“.
- კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსებში დაზუსტდეს ტერმინოლოგია, სილაბუსებში საკითხთა თანმიმდევრობა დაემყაროს საგნების სპეციფიკას.
- კლასტერში გაერთიანებულ სასწავლო კურსებში მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულფასოვნად მითითება და თავიდან იყოს არიდებული უზუსტობები და ხარვეზები.
- ვინაიდან სასწავლო კურსები არ ითვალისწინებს უცხო ენათა ცოდნის წინაპირობებს, რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამებიდან ამოღებული იყოს მითითებული რუსულენოვანი ნაშრომები და სტუდენტებს მიეწოდოთ ლექტორების მიერ მომზადებული ამ ნაშრომთა ქართული ვერსიები რიდერების სახით.
- რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში დაზუსტდეს დარგობრივი ტერმინოლოგია.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "აკადემიური წერა" აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები.
- რეკომენდებულია, შეივსოს სასწავლო კურსების: ლიტმცოდნეობის შესავალი, მე-19 საუკუნის ლიტერატურა, რუსთველოლოგია, ქართული პალეოგრაფია, ქართული ენის პრობლემური კურსი, მე-20 საუკუნის ლიტერატურა, საეკლესიო მწერლობის ზოგადი კურსი, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს სასწავლო კურსების "ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2" და "ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 3" მიზნები და თავიდან იყოს აცილებული მათი დუბლირება.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ახალი ქართული ენა 4" გადამუშავდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხების აღრევა.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "ახალი ქართული ენა 6", დაზუსტდეს ტერმინოლოგია და "რთული შემასმენლის" ნაცვლად გამოიყენებოდეს ტერმინი "შედგენილი შემასმენელი.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, სასწავლო კურსში "აკადემიური წერა" სტუდენტთა არგუმენტირებული ნაშრომების შემოწმება მოხდეს ანტიპლაგიატ პროგრამის გამოყენებით შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთვით.

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "ადამიანის პრობლემა ლიტერატურაში", რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ქართულენოვანი ნაშრომებით.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის, "ქართული რომანტიზმი", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს უახლეს პერიოდში გამოცემული ნაშრომებით. მათ შორის, მაგალითად: "ქართული რომანტიზმი, ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2012. სრული ვერსია იხ. https://rustaveli.org.ge/res/docs/aa9db338664ff77ca369354a08ca0ae7443080de.pdf თამარ ლომიძე, "ქართული რომანტიზმის პოეტიკა", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, სრული ვერსია იხ. http://eprints.iliauni.edu.ge/2687/1/qartuli%20romantizmis%20poetika%20%2810%29.pdf და სხვ.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის, "ქართული რეალიზმი", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს უახლეს პერიოდში გამოცემული ნაშრომებით. მათ შორის, მაგალითად: "ქართული რეალიზმის სათავეებთან", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015. იხ. სრული ვერსია: https://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart,real-XIX.pdf "ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015. იხ. სრული ვერსია: https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf და სხვ.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის,: "აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს რელევანტური ნაშრომებით.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის,: "ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება",

ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს რელევანტური ნაშრომებით.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სახელწოდებაში "ვაჟათმცოდნეობა" შესწორდეს ხარვეზი და ეწოდოს ვაჟასმცოდნეობა, ან, ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება, როგორც ეს არის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების სწავლებისათვის განსაზღვრულ სასწავლო კურსებში.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, საგანს „ქართველური ფონემატური სტრუქტურა (ისტორიული ფონეტიკა)", შეეცვალოს სათაური, მით უმეტეს, რომ ეს სილაბუსი მხოლოდ ქართული მასალის საფუძველზეა აგებული და მასში არ ჩანს ისტორიული ასპექტი.
- რეკომენდებულია, საგანს "ქართველური ონომასტიკა", შეეცვალოს სათაური და გადამუშავდეს.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს: ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი 1 და 2 შეეცვალოს სათაური, ეწოდოს ქართული დიალექტოლოგია და თემატიკა დაემყაროს ქართული ენის დიალექტების სწავლებას.

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	X	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	X	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	X	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის დაშვების წინაპირობები განისაზღვრება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების მიხედვით. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ხოლო სამაგისტრო პროგრამების დაშვების წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება, ხოლო შემდგომ, მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება სხვა ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, ეს პროცესი დარეგულირებულია შესაბამისი ნორმატიული აქტით. „ტასუ“-ში უცხოელი სტუდენტები, მაგალითად აზერბაიჯანიდან (კერძოდ, საქართველოს ისტორიული კუთხიდან, ჰერეთიდან) სტუდენტები სწორედ ამ წესის მიხედვით ირიცხებიან.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების დასვების წინაპირობები არის ნათელი და გამჭვირვალე, შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს და დარგის წინაპირობებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდები, როგორც ეს დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვონ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის ნათელი და გამჭვირვალე, ხელმისაწვდომია დაინტერესებული აუდიტორიისათვის და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამაში. კერძოდ, დაშვების წინაპირობებს წარმოადგენს: სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას/გასაუბრებას. შიდა გამოცდა/გასაუბრება ტარდება სპეციალობაში. შესაძლებელია გამოცდა ჩატარდეს უცხო ენაშიც.

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ზეპირი ფორმისაა, გასაუბრებაზე უპირატესობა ენიჭება ინფორმაციის მკაფიოდ და ლაკონურად გადმოცემის უნარს, შესასწავლი დარგის/საქმიანობის ძირითადი პრინციპების ცოდნას, სამეცნიერო-კვლევის მეთოდების შესახებ ინფორმაციის ფლობას და მიზნობრივ აუდიტორიასთან სწორი კომუნიკაციის შესაძლებლობას.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდის გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის ნათელი და გამჭვირვალე, ხელმისაწვდომია დაინტერესებული აუდიტორიისათვის და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

სამაგისტრო პროგრამაზე არ არის განსაზღვრული დარგობრივი წინაპირობები, რაც კანონმდებლობით არ არის სავალდებულო, თუმცა, სასურველია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამაში. კერძოდ, დაშვების წინაპირობებს წარმოადგენს: სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას/გასაუბრებას. შიდა გამოცდა/გასაუბრება ტარდება სპეციალობაში.

შიდა სამაგისტრო გამოცდის საკითხები წინასწარ არის განთავსებული დაწესებულების ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდის გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის ნათელი და გამჭვირვალე, ხელმისაწვდომია დაინტერესებული აუდიტორიისათვის და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

სამაგისტრო პროგრამაზე არ არის განსაზღვრული დარგობრივი წინაპირობები, რაც კანონმდებლობით არ არის სავალდებულო, თუმცა, სასურველია, ქართველური ენათმეცნიერების

სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები „ტასუ"-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამზე დაშვების წინაპირობა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა სპეციალობაში - იხ. პროგრამაში. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამზე დაშვების წინაპირობა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა სპეციალობაში
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში.

პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში.

შეფასება

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიისი საბაკალავრო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული	**X**	☐	☐	☐

ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)				
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში უნიფიცირებულია სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისადმი მიდგომები, თუმცა არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებისადმი განსხვავებული მიდგომები. კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც 10 კრედიტიანია. რამდენადაც პროგრამა საბაკალავრო დონისაა პრაქტიკული ნაწილი ასახულია ცალკეულ სილაბუსებში სადაც ეს შინაარსობრივად გამართლებულია სასწავლო კურსის შედეგებიდან გამომდინარე. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში დაგეგმილია კვლევვითი აქტივობები. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

სამაგისტრო საფეხურზე სამეცნეირო-კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც 30 კრედიტიანია. მაგისტრანტები მონაწილეობენ დაწესებულების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში: კონფერენციებში, შემოქმედებით ღონისძიებებში.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება ხდება სხვადასხვა სასწავლო კურსის დონეზე, თუმცა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ გასაძლიერებელია პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი მუშაობა სასწავლო კურსებში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

- ცალკე აღწერის საჭიროება არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები
- „ტასუ“-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამზე დაშვების წინაპირობა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა სპეციალობაში - იხ. პროგრამაში. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამზე დაშვების წინაპირობა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა სპეციალობაში
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კურსების, ან სხვა აქტივობების წილი პროგრამაში, რაც ხელს შეუწყობს ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურს და არის სტუდენტზე ორიენტირებული. მეთოდების ერთიანობა უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების მიზანსა და სწავლის შედეგზე ორიენტირებას.

კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: გონერივი იერიში, დისკუსია-დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვ.

სასწავლო კურსებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სხვადასხვა კურსში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, რაც შესაბამისობაშია სასწავლო კურსების შინაარსთან და სპეციფიკასთან.

კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე, გასაძლიერებელია წერითი კომპონენტის განმავითარებელი მეთოდები: არგუმენტირებული ნაშრომის შექმნა, სამეცნიერო წერის ელემენტები და სხვ. სამაგისტრო პროგრამებში არ ისწავლება სამეცნიერო წერა, ხოლო საბაკალავრო პროგრამაში აკადემიური წერის 3 კრედიტიანი კურსი არ ითვალისწინებს ციტირების სტილების სწავლებას. მნიშვნელოვანია, სამაგისტრო პროგრამებში სწავლა-სწავლების მეთოდებში განისაზღვროს წერითი უნარების განმავითარებელი მეთოდები და აისახოს პროგრამებსა და სასწავლო კურსებში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

ცალკე აღწერის საჭიროება არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამებში სწავლა-სწავლების მეთოდებში განისაზღვროს წერითი უნარების განმავითარებელი მეთოდები და აისახოს პროგრამებსა და სასწავლო კურსებში.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულია პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო საფეხური).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სტუდენტის შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის დებულებით, რომლის მე-20 მუხლში გათვალისწინებული და აღწერულია თუ როგორ და რაფორმით ხდება სტუდენტის შეფასება. კერძოდ, სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობის, სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვაშედეგების საფუძველზე. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს შუალედურ გამოცდას, რომელიც 20 ქულით შემოიფარგლება და მიმდინარე შეფასებებით, რომელიც 40 ქულით ერთიანდება. მიმდინარე შეფასებები სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წერითი დავალებებით, რომელიც შესაძლებელია საშინაო დავალებით, რეფერატებითა და სხვა. ამასთან, ზეპირი გამოკითხვით, რომელშიც ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია და ა.შ შედის. სილაბუსების მიხედვით, შესაძლებელია განსხვავდებოდეს საგნის მიხედვით შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსებიდანაც ჩანს. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით: დადებითი შეფასებები: ა) A- ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90

ქულა; გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. უარყოფითი შეფასებები: ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამაგისტრო და საბაკალარი ნაშომების შესრულების წესი. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესში მითითებულია, რომ 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, გადმოცემის უნარი–15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). მითითებული შეფასების სისტემა არ არის გამართული და საჭიროებს გადახედვას, ვინაიდან სასწავლო პროცესის მართვის წესში აღნიშნულია, რომ 60 ქულა ნაწილით აფასებს, ხელმძღვანელი და 40 ქულით კომისია. აღნიშნული შეფასების სისტემა გამეორებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში. აღნიშნული გადანაწილება უნდა შეიცვალოს დაწესებულების მიერ, ვინაიდან 60 ქულა ხელმძღვანელის მხრიდან შეფასების შედეგად სუბიექტურად ნაშრომის შეფასების რისკს ზრდის, რაც ეწინააღმდეგება ნაშრომის შეფასების ობიექტურობას. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ერთ-ერთ კომპონენტში აღნიშნულია რომ სტუდენტის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია სამომავლოდ კვლევის განხორციელების მოტივაცია, რაც არალოგიკურია, ვინაიდან სტუდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს უშუალოდ იმ მომენტში შესრულებული ნაშრომიდან და სამომავლოდ სტუდენტის სურვილის ქონა ნაშრომის შესრულებაზე არ უნდა ახდენდეს გავლენას მის შეფასებაზე.

ინტერვიუს დროს სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს დაესვათ კითხვა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ, მაგრამ მათი მხრიდან არ იყო არგუმენტი იმის თაობაზე რა მნიშვნელოვის მატარებელი შეიძლება იყოს სტუდენტის სამომავლო სურვილი კვლევის განხორციელებაში. ინტერვიუს დროს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს კითხვები დაესვათ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ და მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში არსებობს გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც მიმდინარეობს შემდგი პროცედურის დაცვით: თავდაპირველად სტუდენტი, რომელიც უკმაყოფილოა მიღებული შეფასებით, განცხადებას აღნიშნულის თაობაზე (წერილობით) აფიქსირებს დეკანატში, დეკანი აღნიშნულ განცხადებას განიხილავს და ქმნის სააპელაციო საბჭოს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნაშრომის გადახედვა. აღნიშნული გასაჩივრების წესი დოკუმენტალურად აღწერილიდა გათვალისწინებული აქვს დაწესებულებას, ამასთან გამოიკვეთა რომ მეტწილად ინფორმირებულნი არიან სტუდენტები გასაჩივრების მექანიზმის შესახებ, ვინაიდან იციან თუ რა ფორმით და სად უნდა დაწერონ განცხადება, ასევე იციან რამდენ დღეში დაუბრუნდებათ მათ პასუხი დაწესებულების მხრიდან საკითთან დაკავშირებით. სტუდენტებმა აღნიშნეს რომ უშუალოდ არ გამოუყენებიათ გასაჩივრების მექანიზმი, მაგრამ ინფორმირებულები არიან ამ საკითხზე.

აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს კითხვები დაესვათ შეფასების გაცნობასთან დაკავშირებით და მათ აღნიშნეს, რომ შეფასების განხილვა ინდივიდუალურად ხდება. თითოეულ სტუდენტს უხსნიან თუ რაში დააკლდა შეფასება და რა იყო გამოსასწორებელი მათი მხრიდან. აღნიშნული სტუდენტების მხრიდანაც დადასტურდა, ვინაიდან მათ აღნიშნეს რომ ლექტორი თითოეულ მათგანთან გადის შეფასებასა და მის კრიტერიუმებს.

პრობლემური საკითხი ასევე დოკუმენტაციიდან გამომდინარე გამოიკვეთა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მიმართულებითაც, ვინაიდან მითითებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტაციაში კერძპოდ: სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-5 მუხლის “ლ” ქვეპუნქტით, სტუდენტს თუ f შეფასება უფიქსირდება, მას უჩერდება სტატუსი. ინტერვიუს დროს აღნიშნული საკითხის დაზუსტება მოვთხოვეთ პროგრამის ხელმძღვანელებს,

სადაც მათ აღნიშნეს, რომ ვინაიდან დაწესებულებაში სწავლა მიმდინარეობს უფასოდ, არ შეიძლება სტუდენტის შეფასება იყოს დაბალი. დაესვათ კითხვა ასევე იმ მიმართულებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთ სიტუაციაში სტუდენტის სტატუსის აღდგენა, რაზეც მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტი თუ დაადასტურებს რომ მას უკვე აქვს სწავლის სურვილი და მოტივაცია და თუ დაადასტურებს რომ იგი იაზრებს მის შეცდომას, რაც დაბალი შეფასებაში გამოიხატება შემდგომ აღუდგება სტატუსი, რაც არასწორი და ბუნდოვანია და არ შეიძლება სტუდენტის სტატუსი ასეთი ბუნდოვანი ჩანაწერის საფუძველზე უჩერდებოდეს. სტუდენტს სრული უფლება აქვს ის შეფასება ჰქონდეს, რაც მას უნდა. შესაძლოა სტუდენტების ნაწილი არ გამოირჩეოდეს სწავლის სურვილითა და მოტივაციით, არ იღებდეს კონკურენციაში მონაწილეობას, მაგრამ რა ქულაზე დახურავს საგანს ეს არის მისი უფლება და აღნიშნული არ უნდა იწვევდეს სტატუსის შეჩერებას. სტუდენტების ნაწილს შეიძლება მაღალ ქულაზე ჰქონდეს პრეტენზია, ნაწილს კი საერთოდ არ ჰქონდეს აღნიშნული მოტივაცია და მიზანი. ვფიქრობ ეს ჩანაწერი საერთოდ უნდა გაუქმდეს და არ უნდა იყოს სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის პრიორიტეტული.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათ დაესვათ კითხვები პლაგიატთან და მის დასაშვებ პროცენტულობასთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა რომ სტუდენტები მეტწილად ინფორმირებულები არიან პლაგიატის მნიშვნელობისა და მისი პრევენციის შესახებ. მათ აღნიშნეს და გაიხსენეს პროგრამის სახელწოდებაც, რომლის მეშვეობითაც ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე, ამასთან, აღნიშნეს რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე, გარკვეული პერიოდით ადრე ნაშრომი იგზავნება პლაგიატის პროგრამაზე, სადაც ხდება ნაშრომის ანალიზი. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სამაგიტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მხრიდან სისტემატიურად ხდება ინფომირება და გაფრთხილება პლაგიატთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებს კითხვა დაესვათ პლაგიატის დასაშვებობის პროცენტულობასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნეს რომ პლაგიატისათვის დასაშვები არის 30%, რაც არის ძალიან მაღალი დასაშვებობის მაჩვენებელია, ვინაიდან პლაგიატის პროგრამა დამთხვევებს, რომელიც ავტორებსა და ლიტერატურაზეა, ისედაც დასაშვებია სტუდენტისათვის და აღნიშნულის გარდა თუ კიდევ 30% იქნება დასაშვები ეს ნიშნავს იმას, რომ ნახევარზე მეტი სტუდენტს თუ გადაწერილი აქვს ეს დასაშვებია.

ინტერვიუს დროს დისტანციურ რეჟიმში ასევე დავათავლიერეთ სტუდენტური პლატფორმა, რომელიც როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, არ არის დასრულებულ რეჟიმში დამიმ მიმდინარეობს ამ პლატფორმის დასრულება, შესაბამისად რაღაც ველები, როგორიცაა განცხადების დაწერა, მიღება არ იყო ხილვადი. მიუხედავად ხარვეზებისა, სტუდენტების პლატფორმა ინტერვიუს დროს სრულყოფილად დათვალიერდა, სადაც ასევე ხილვადი იყო სტუდენტების შეფასების ველი და სტუდენტებისათვის სილაბუსი .

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

ცალკე აღწერის საჭიროება არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო დაწესებულების მეირ წარმოდგენილი კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)
- ქართული ლიტერატურა სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)
- ქართველური ენათმეცნიერება სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)
- ქართული ფილოლოგიის პროგრამა (დანართი 1)
- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა (დანართი 1)
- ქართველური ენათმეცმიერების სამაგისტრო პროგრამა (დანართი 1)
- დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის წესი (დანართი 6)
- დაწესებულების საბაკალავრო (კვლევითი) რეფერატის შესრულების წესი
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები
- საბაკალავრო ნაშრომები
- პლაგიატის დაცვისა პრევენციის წესი
- სტუდენტური პლატფორმა
- ვებგვერდი https://tbeli.ge/
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში განისაზღვროს, რომ უარყოფითი, F შეფასებების შემთხვევაში სტუდენტი ჩაითვლება ჩაჭრილად და შეეძლება კრედიტის მოპოვება მხოლოდ საგნის ხელახლა გავლის შემთხვევაში.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმებინ ამოღებულ იქნეს, ან მინიმუმამდე შემცირდეს მაგისტრანტების ხელმძღვანელების შეფასების ქულობრივი წილი.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, საბალაკავრო საფეხური)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო საფეხური)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო საფეხური)	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულია პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო საფეხური).

სტუდენტების ინფორმირება და მათთვის კონსულტაციის გაწევა დაწესებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისიაა, ვინაიდან სტუდენტი დაწესებულებიდან უნდა იღებდეს მისთვის ყველა საჭირო დახმარებასა და ინფორმაციას.

დაწესებულების მიერ შევსებულ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტებთან კონსულტირება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხდება ადმინისტრაციისა და ლექტორის მეშვეობით. ლექტორი პირველ ლექციაზე სტუდენტებს ინფორმაციას უზიარებს სილაბუსის შინაართან დაკავშირებით, ამასთან, აცნობს შეფასების კრიტერიუმებს. აღნიშნული ინფორმაცია ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს სტუდენტებმა, სადაც აღნიშნეს რომ პირველი ლექცია ლექტორის მხრიდან იწყება სილაბუსისა და იმ დეტალების გაცნობით, რომელიც სტუდენტების მხრიდან გასათვალისწინებელი და ყურადსაღებია.

დაწესებულების აკრედიტაციის პროცესში, მნიშვნელოვანია თვითშეფასების ჯგუფის ფორმირება და მათი ფუნქცია-მოვალეობების ეფექტური გადანაწილება. თვითშეფასების ჯგუფში წევრები თავიანთი მიმართულებით უნდა იღებდნენ ინფორმაციას და აღნიშნული პროცესი არ უნდა იყოს ფორმალური ხასიათის. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს კითხვები დაესვათ თუ რა ფორმით და როგორ

მონაწილეობდნენ თვითშეფასების ჯგუფში, სადაც მათ აღნიშნეს რომ სტუდენტები ძირითადად გამოკითხვების შედგენაში იღებდნენ მონაწილებას, ამასთან, ის კურსდამთავრებულები, რომლებიც თავიანთი პროფესიით არიან დასაქმებულები სკოლებში ინფორმაციას აწვდიდნენ თავიანთი მიმართულებით გასათვალისწინებელ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც მათ აღნიშნეს, შეხვედრები ტარდებოდა სისტემატიურად.

დაწესებულებაში სწავლა არის უფასო, ასევე, დაწესებულებაში ყველა სტუდენტი, მათ შორის სოციალურად დაუცველი სტუდენტები სარგებლობენ სამჯერადი კვებით. აღნიშნული გათვალისწინებულია ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლადი და, ასევე უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და შედეგების აღწერის შესახებ დოკუმენტში. ამასთან, უცხოელი სტუდენტებს დაწესებულება უფასოდ უზრუნველყოფს საერთო საცხოვრებლით. დაწესებულებას აქვს სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება, სადაც აღწერილი და გაწერილია ის დებულებები, თუ როგორ ხდება სტუდენტების მხრიდან ინიციატივისა და პროექტების წარდგენა, ამასთან როგორ ხდება მხარდაჭერის სამსახურის მხრიდან სტუდენტების დახმარება. აღნიშნული დებულების არსებობა მისასალმებელია დაწესებულების მხრიდან.

სტუდენტებს ლექციის გარეთ ლექტორთან საკომუნიკაციოდ აქვთ სპეციალურად ლექტორთან კომუნიკაციის საათები, რომელიც თითოეულ სილაბუსშია გათვალისწინებული. აღნიშნული ინფორმაცია, როგორც აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, ისე სტუდენტებმა.

დაწესებულებას აქვს სტუდენტების, ინიციატივებისა და პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების წესი, სადაც აღწერილია ის პროცედურები ,თუ როგორ და რა ფორმით ხდება სტუდენტების მხრიდან ინიციატივისა და პროექტების წარდგენა, ამასთან, დამტკიცებამდე რა გზას გადის აღნიშნული. ამასთან, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მემორანდუმი აჭარის დასაქმების სააგენტოსთან, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობს დაწესებულება. აღნიშნული მემორანდუმით, დასაქმების სააგენტო უზრუნველყოფს დაწესებულებაში სტუდენტების შემდგომ დასაქმებასა და საერთო პროექტების ორგანიზებას.

დაწესებულებაში არსებობს სტუდენტური თვითმართველობის ეთიკის კოდექსი, სადაც გაწერილია ის დებულებები, რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელია სტუდენტური თვითმართველობისათვის. აღნიშნულ ეთიკის კოდექსში აღწერილია როგორ უნდა მოხდეს სტუდენტური თვითმართველობის არჩევა, მისიფუნქციონირება და ა.შ.

სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში განხორციელებული ან/და მიმდინარე პროექტებისა და აქტივობების შესახებ ვებ-გვერდიდან და ფეისბუქ ჯგუფის საშუალებით ეძლევათ ინფორმაცია. ფეისბუქ ჯგუფები თითოეული საგნისათვის აქვთ გაკეთებული, სადაც დეტალების შესახებ იღებენ ინფორმაციას. ამასთან, დაწესებულებაში განხორციელებული სიახლეების შესახებ აქტიურად ეწოდებათ ინფორმაცია ვებ-გვერდის საშუალებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ მოსახერხელულობის კუთხით მისასალმებელია სოციალური ქსელის ჯგუფის გამოყენება აქტიურად საკომუნიკაციოდ, მაგრამ დაწესებულებისათვის სასურველი იქნებოდა დაწესებულების მეილის უფრო მეტად გააქტიურება.

სტუდენტების გარდა, კურსდამთავრებულებსაც დაესვათ კითხვები, მათ დაესვათ კითხვები თუ როგორ იგებენ დაწესებულებაში განხორციელებული პროექტებისა და კონფერენციების შესახებ ინფორმაციას, რაზეც მათ აღნიშნეს რომ ამ საკითხზე ინფორმაციას სოციალური ქსელისა და დაწესებულების ვებ-გვერდის საშულებით იგებენ. ამასთან, რამდენიმე მათგანმა აღნიშნა რომ დასაქმების შესახებ სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობითაც იგებს. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე მათგანი ვინაიდან დასაქმებულია სკოლებში, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ დაწესებულებასთან და ვაკანტური ადგილის გამოჩენისთანავე, დაწესებულებას აწვდიან ინფორმაციას, რომ შესაბამისი კანდიდატი გაიგზავნოს დაწესებულების მხრიდან. ამასთან, რამდენიმე კურსდამთავრებულმა აღნიშნა რომ საერთო პროექტების ფარგლებშიც იყო

დაწესებულებასთან მჭირდო კავშირში და მომავალშიც გეგმავს საერთო პროექტის განხორციელებას. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს კურსდამთავრებულებთან, რომლებიც როგორც აღვნიშნე საკმაოდ ჩართულები იყვნენ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის მიმდინარეობაში.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მხრიდან პრაქტიკული მიმართულებით გამოცდილება და ცოდნა აკლიათ, მათ სურთ, რომ ისეთი კადრები ჰყავდეთ, რომლებიც დამატებით გადამზადებას არ საჭიროებს. რამდენიმე დამსაქმებელი საკმაოდ კმაყოფილია დაწესებულების მიერ გაგზავნილი სტუდენტებით, ვინაიდან საკითხი ეხება ქართული ფილოლოგიის მიმართულებას, დამსაქმებლებმა აღნიშნეს რომ მათთვის უმთავრესი იყო გამართული მეტყველებისა და წერის ცოდნა, ამასთან აღნიშნული მიმართულებით თეორიული ცოდნა, რაც როგორც მათ აღნიშნეს, სტუდენტები ამ მხრივ საკმაოდ კვალიფიციურები აღმოჩნდნენ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გამოკითხვებიდან, რომლითაც გამოკითხულ იქნა სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნულია, რომ მათ სურვილი აქვთ მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, ამასთან, სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და კვლელევში. გამოკითხვებიდან ასევე ჩანს რომ მათ ინფორმაციის ნაკლებობაც აქვთ ამ მიმართულებით. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ერთი პერიოდი მიმდინარეობდა საუბარი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის მიმართულებით და სტუდენტები საკმაოდ დაინტერესებულნი იყვნენ აღნიშნული პროგრამით, მაგრამ ვერ განხორციელდა საბოლოოდ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

ცალკე აღწერის საჭიროება არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო დაწესებულების მეირ წარმოდგენილი კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლადი და, ასევე უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და შედეგების აღწერა;
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსები (სამივე პროგრამის გათვალისწინებით)
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური ინიციატივების, პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების წესი;
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი გაფორმებული მემორანდუმები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის ეთიკის კოდექსი;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები
- კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- ვებგვერდი
- სტუდენტური პლატფორმა
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, სტუდენტებმა რეგულარულად გამოიყენონ დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართები აკადემიური და სამსახურეობრივი დანიშნულებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, საბალაკავრო საფეხური)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო საფეხური)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო საფეხური)	☐	X	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულია მაგისტრატურის 2 პროგრამა 1 (ქართული ლიტერატურა); პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერება).

დაწესებულებას აქვს შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის 22-ე მუხლი არეგულირებს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის (ნაშრომის) შესრულებისა და დაცვის წესი აკადემიური უმაღლესი განათლების ორივე საფეხურის სტუდენტებისათვის. აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებულია მთლიანად პროცედურა თუ როგორ უნდა მოხდეს სტუდენტის მხრიდან ნაშრომის შესრულება. სათაური როგორი უნდა იყოს, შრიფტი, ლიტერატურის გამოყენება როგორ უნდა მოხდეს და ა.შ. აღნიშნულის გარდა, დაწესებულებას აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, სადაც გაწერილია თითოეული კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის. აღნიშნული წესის მე-13 მუხლის მიხედვით: სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სწავლების მესამე სემესტრის დაწყებიდან. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან. 2. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე დაწესებულების პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი. ამასთან, ერთი ადამიანი შეიძლება მხოლოდ 5 სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ერთი სემესტრის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში ასევე გათვალისწინებულია ის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა უნდა განახორციელოს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნული იყო რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაურები, რომლის ირგვლივაც შეუძლია სტუდენტს ნაშრომის შესრულება. ამასთან დაკავშირებით კითხვა, როგორც პროგრამების ხელმძღვანელებს დაესვათ, ისე სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებსაც, სადაც მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული ჩამონათვალი არის მხოლოდ საორიენტაციო და სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი მიმართულებით აირჩიოს თემა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა ინტერვიუს დროს აღწერეს პროცესი სამაგისტრო ნაშრომის სათაურის არჩევიდან დაცვამდე, რომლის ფარგლებშიც თავდაპირველად სტუდენტის მხრიდან სამაგისტრო ნაშრომის სათაურის შერჩევა ხდება სტუდენტის სურვილის საფუძველზე, შემდგომ ხდება აღნიშნული თემის სათაურის გაზიარება ხელმძღვანელთან, რომელიც რჩევას აძლევს აღნიშნული თემა მისაღებია თუ არა და ამის შემდეგ ხდება ეტაპობრივად მუშაობა სამაგისტრო ნაშრომზე.

სტუდენტებს კითხვა დაესვათ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესთან დაკავშირებით, ასევე რამდენიმე სტუდენტმა დაასახელა მისი მომავალი სამაგისტრო ნაშრომის თემა, ასევე კურსდამთავრებულებმა გაიხსენეს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი. მათ აღნიშნეს, რომ თავდაპირველად, როდესაც თემის სათაური შეარჩიეს ეს გადაწყვეტილება იყო ინდივიდუალურად მიღებული და შემდგომ გაზიარებული ხელმძღვანელთან. ინტერვიუს დროს რამდენიმე სტუდენტი ეხლა იწყებდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რაზეც მათ აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელთან აქვს უშუალო დამოკიდებულება, რაც გამოიხატება იმაში, რომ აქტიურად შეუძლია კომუნიკაცია ხელმძღვანელთან კითხვებისა და ინფორმაციის მიღების მიზნით. ასევე, ხელმძღვანელი ცდილობს ლიტერატურის მოძიებასა და მის გაფილტვრაში დაეხმაროს სტუდეტს, გაუზიაროს კონკრეტული მიმართულებით ცოდნა. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროცესი სამაგისტრო ნაშრომის წერის იყო საკმაოდ აქტიური, შრომატევადი და სასიამოვნო, რადგან ხელმძღვანელი ყველანაირად ეხმარებოდა რომ მისი სამაგიტრო ნაშრომი ყოფილიყო მრავალფეროვანი. ხელმძღვანელს პრაქტიკული მიმართულებით დაჰყავდა სტუდენტები სხვადასხვა ადგილებში, სადაც სტუდენტი ნაშრომისათვის ჩანაწერებსა და ამონაწერებს ახორციელებდა. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ არ ჰქონდათ ნაშრომის შესრულების პროცესში რაიმეს დანაკლისის შეგრძნება.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, სადაც ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს აფასებენ. აღნიშნული გამოკითხვებიდან ფიქსირდება

სტუდენტების კმაყოფილება ხელმძღვანელებთან მიმართულებით. მათ მოსწონთ ხელმძღვანელის მიერ შესრულებული სამუშაო, მხოლოდ რამდენიმე საკითხზე არის შეფასებაში დაფიქსირებული რომ საკითხი საჭიროებს გაუმჯობესებას.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)[8]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	9
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	37
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	9/27; 0.24
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

ცალკე აღწერის საჭიროება არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სწავლის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- პლაგიატის წესი;
- ვებგვერდი;
- სტუდენტური პლატფორმა;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუს დროს დამატებით გამოთხოვილი ხელმძღვანელის შეფასება;
- ფილოლოგიის კლასტერის რაოდენობრივი მაჩვნებელი;
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

[8] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო საფეხური)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო საფეხური)	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	X	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომელთაც აქვთ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები. სამივე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები შერჩეულია პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხის, სწავლებისა და კვლევის სათანადო გამოცდილების საფუძველზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოყვეყნებული პუბლიკაციები მეტწილად ადასტურებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას, მოწვეული პერსონალის კომპეტენციები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გამომუშავებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების სისტემა. იგი პერიოდულად აფასებს ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მუშაობის ხარისხს, კვლევით პროექტებში მონაწილეობას. მიგვაჩნია, რომ დაწესებულების სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანი განხორციელების საწინდარია. ამ თვალსაზრისით სასურველია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში, რისი შედეგებიც აისახება სათანადო სამეცნიერო ნაშრომებში, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს სასწავლო პროცესშიც. შესაბამისი საჭიროების შესახებ თავად უნივერიტეტის მიერ წარმოდგენილ მასალებშიც არის აღნიშნული.

სასწავლო პროცესის წარმართვა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება ეფუძნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის დაბალანსებას. პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამების მდგარადობას. ორივე საფეხურზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 აკადემიური და მოწვეული პირი. მათ შორის 13 აკადემიური პერსონალია, 5 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - ერთი, ხოლო ქართველური

ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამას - ორი. კლასტერში წარმოდგენილი სამივე პროგრამის ხელმძღვანელთა კომპეტენცია სათანადო პროგრამების სასწავლო-სამეცნიერო სპეციფიკის შესაბამისია, რაც დასტურდება მათ მიერ წაკითხული კურსებით, გამოქვეყნებული ნაშრომებით, დარგის შესაბამისი განათლებით. ისინი ჩართული არიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში, სტუდენტების კონსულტირებასა და ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებაში.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, საბაკალავრო)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი და 10 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან არის 10/10, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან 20/43, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, საბაკალავრო)[1]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[2]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[3]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	20	11	11	10
- პროფესორი	5	5	5	5
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	1	1	1	1
მოწვეული პერსონალი	10	1	1	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო)

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი და 3 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან არის 9/3, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა

სტუდენტებთან 12/86, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო)[1]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[2]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[3]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**12**	**10**	**10**	**9**
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	7	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	1	1	1	1
მოწვეული პერსონალი	3	3	3	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო)

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესორი, 2 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან არის 4/2, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან 6/10, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო)[4]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**6**	**5**	**5**	**4**
- პროფესორი	4	4	4	4

- ასოცირებული პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	2	1	1	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი
- თანამდებობრივი ინსტრუქციების ამსახველი დოკუმენტები
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა (მათ შორის საერთაშორისო) და კვლევით პროექტებში, რისი შედეგებიც აისახება სათანადო სამეცნიერო ნაშრომებში, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს სასწავლო პროცესშიც.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემების წარმოდგენის საერთო ფორმა და პერსონალი ვალდებული იყოს, პერიოდულად განაახლოს ეს მონაცემები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი განსაზღვრულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით. დებულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე დაწესებულების პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და სამეცნიერო კვლევის გამოცდილება სათანადო სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის ადეკვატურია. აკადემიური და მოწვეულ პერსონალის კომპეტენციები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (პირადი საქმეები).

მაგისტრატურის დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები:

1. საკვლევი თემის შერჩევასა და შემუშავებაში დახმარება
   - დისკუსია საგანმანათლებლო კვლევის სპეციფიკის შესახებ
   - გამოცდილების გაზიარება - დაცული დისერტაციების გაცნობა
   - სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი წესის გაცნობა
   - საკვლევი პრობლემის შერჩევასა და აქტუალობის დასაბუთებაში დახმარება
   - წინარე ცოდნის გააქტიურება წინა საფეხურის მიღწევების გამოყენება, სტუდენტის სალექციო კურსებისა და პრაქტიკის გავლისას გაკეთებული ჩანაწერების განხილვა
   - დარგის ფარგლებში ბოლო პერიოდის მოთხოვნებისა და კვლევის შედეგების განხილვა
2. ნაშრომის შესრულების პროცესში დახმარება
   - კვლევის მიზნების, ამოცანების განსაზღვრაში დახმარება
   - კვლევის მეთოდების მრავალფეროვნების განსაზღვრა, ამ მიზნით წინარე ცოდნის „კვლევის მეთოდები“ გააქტიურება

- კვლევის მიზნის შესაბამისი მონაცემების შეგროვების ანალიზისთვის გამოყენებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების არჩევაში დახმარება
- წყაროებზე მუშაობა
- ინფორმაციისა და იდეის ნათლად ფორმულირების, დაკავშირების, განხილვის, აზრისა და იდეის გაყოფა-დაკავშირების შესაძლებლობა
- დამადასტურებელი და უარმყოფელი შეხედულებების განხილვა
- წყაროების გაფორმების წესისი დაცვა
- სიახლეების ფორმირება და დასაბუთება
- ჩასატარებელი კვლევების პროგრამებისა და გეგმების შედგენა
- ჩატარებული კვლევების გაფორმება
- დასკვნების ცამოყალიბება
- რეკომენდაციების შემუშავება ახალი მიგნების დანერგვის ან არსებული ვითარების გაუმჯობესებისათვის

3. ნაშრომის აპრობაცია

- სტუდენტთა კონფერენციისათვის საკვლევი პრობლემის შესაბამისი თემის არჩევასა და მომზადებაში დამხარება
- კვლევის შედეგების გაცნობისატვის სპეციალური სემინარის ჩატარება მაგისტრებისათვის და მოქმედი მასწავლებლებისათვის
- სტატიის დაწერა და გამოქვეყნებისათვის რეცენზირების მომზადება

4. ნაშრომის მონიტორინგი და შეფასება.

- სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტების მიხედვით შესრულებული სამუშაოს შეფასება განმავიტარებელი შეფასებით (რჩევები, რეკომენდაციები, ინსტრუქტაჟი)
- მოწმდება კვლევის გეგმის ან პროგრამის მიდინარეობა, შედეგების სანდოობა
- სტუდენტის მიერ ანგარიშის წარდგენა შესრულებული სამუშაოს შესახებ (სტუდენტი ანგარიშს ამზადებს დეკანატის მიერ განსაზღვრული გრაფიკით)
- დასკვნა ნაშრომის დასაცავად წარდგენისათვის
- ნაშრომის წინასწარი დაცვისათვის მომზადება
- ნაშრომის ექსპერტების დასკვნისათვის პასუხების მომზადება
- ნაშრომის დაცვისათვის პრეზენტაციის მომზადება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო)

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის არჩევა, შესრულება და დაცვა რეგულირდება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და სამეცნიერო კვლევის გამოცდილება სათანადო სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის ადეკვატურია. აკადემიური და მოწვეულ პერსონალის კომპეტენციები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (პირადი საქმეები).

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები უწევენ მაგისტრანტებს სამეცნიერო კონსულტაციებს, ეხმარებიან მათ თემის მომზადებასა და წარდგენაში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომები ვერ აკმაყოფილებს აკადემიური წერის სტანდარტს, არის რელევანტური სამეცნიერო წყაროების გამოყენების, სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის დანაკლისი, საჭიროა სამეცნიერო ხელმძღვანელთა მეტი ძალისხმევა, დამატებითი ღონისძიებების გატარება აკადემიური სტანდარტის დაცვით სამეცნიერო ნაშრომების შესაქმნელად.

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, სამაგისტრო)[3]

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[4]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**9**	**9**	**6**
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	3	3	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო)

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის არჩევა, შესრულება და დაცვა რეგულირდება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და სამეცნიერო კვლევის გამოცდილება სათანადო სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის ადეკვატურია. აკადემიური და მოწვეულ პერსონალის კომპეტენციები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (პირადი საქმეები).

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები უწევენ მაგისტრანტებს სამეცნიერო კონსულტაციებს, ეხმარებიან მათ თემის მომზადებასა და წარდგენაში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომები ვერ აკმაყოფილებს აკადემიური წერის სტანდარტს, არის რელევანტური სამეცნიერო წყაროების გამოყენების, სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის დანაკლისი, საჭიროა სამეცნიერო ხელმძღვანელთა მეტი ძალისხმევა, დამატებითი ღონისძიებების გატარება აკადემიური სტანდარტის დაცვით სამეცნიერო ნაშრომების შესაქმნელად.

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო)[5]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[6]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**4**	**4**	**4**
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	0	0	

- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	0	0	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მაგისტრატურის დებულება
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა პირადი საქმეები
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური დონის გაუმჯობესება, სამეცნიერო ხელმძღვანელთა მეტი ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, დამატებითი ღონისძიებების გატარება აკადემიური სტანდარტის დაცვით სამეცნიერო ნაშრომების შესაქმნელად, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხარისხის ასამაღლებლად, რაც გულისხმობს სამეცნიერო სტილის მკაცრად დაცვას, რელევანტური წყაროების გამოყენებას.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	☐	☐

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას.

აკადემიური პერსონალის საქმიანობა ფასდება სხვადასხვა ასპექტით: სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციული საქმიანობის კუთხით.

პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასების კომპონენტებია:

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა, სასწავლო კურსების სისტემატიური განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა, სასწავლო მასალების, რესურსების განახლება და გაუმჯობესება, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალების მომზადება, სტუდენტთა გამოკითხვებში ჩართულობა, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხზე ზრუნვა განმავითარებელი შეფასების ინტენსიური გამოყენებით, ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკულის და სწავლა–სწავლების სხვა მეთოდების მონიტორინგი, სტუდენტთა კონსულტირება, სხვა აკადემიური აქტივობა, მაგალითად სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება.

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კომპონენტებია:

სამეცნიერო კონფერენციაში (ან სხვა მსგავს ღონისძიებაში) მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომები, გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, სამეცნიერო პროექტებში სტუდენტების ჩართვა, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა (სამეცნიერო ხელმძღვანელობა), სხვა სამეცნიერო აქტივობები (სამეცნიერო გამოცემის რედკოლეგიის წევრობა, მონოგრაფიის რედაქტორობა, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზირება და სხვა).

პერსონალის სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასების შეფასების კომპონენტებია:

საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა, სამსახურეობრივი ან/და კორპორაციული პასუხისმგებლობა, საფაკულტეტო და საუნივერ-სიტეტო საბჭოს სხდომებში მონაწილეობა/აქტიურობა, სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფებში ან/და კომისიებში მონაწილეობა.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასება ეყრდნობა პერსონალის CV-ებს და თვითშეფასებას, რომელსაც თავად პერსონალი ავსებს. შემდგომ ეს ინფორმაცია მუშავდება „პერსონალის შეფასების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად.

შეფასების შედეგები გაზომვადია, იგი კონკრეტულ ინდიკატორებს გულისხმობს: სტუდენტთა გამოკითხვის და შეფასების შედეგები, პროფესორ-მასწავლებელთა თვითშეფასებები და მათი ანგარიშების შეფასების შედეგები, ადმინისტრაციული და კოლეგიალური შეფასებები.

დაწესებულების ცდილობს, ხელი შეუწყოს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, აკადემიური პერსონალს ჩაუტარდა სპეციალური ტრენინგი ელექტრონული/დისტანციური სწავლება-სწავლის შეფასების მეთოდების ეფექტურად გამოყენების მიზნით. სასურველია, ამგვარი ტრენინგები ტარდებოდეს ხშირად.

დაწესებულებს ხელს უწყობს პროფესორ-მასწავლებლებს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს „ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტი“. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკუთარი კვლევითი პროფილი, რაც რეგიონის თავისებურებებს ითვალისწინებს: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კვლევა, უკვე არსებულზე დაყრდნობით საკუთარი კვლევითი ბაზის შექმნა, ამ კვლევებში სტუდენტების ჩართვა, ინტერდისციპლინური კვლევების პრიორიტეტულობის წარმოჩენა, რამაც მთლიანობაში ხელი უნდა შეუწყოს დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდას.

დაწესებულება ცდილობს გაზარდოს კვლევითი საქმიანობის მოტივაცია. ამ მიზნით შექმნილია „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება“, რომლის მიზანია შიდასაუნივერსიტეტო დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელება და დაწესებულების სტუდენტთა და ახალგაზრდა მკვლევართა დაინტერესება სამეცნიერო საქმიანობით, მათი სამეცნიერო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა.

დაწესებულების ორგანიზებით წლების მანძილზე განხორციელდა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობა: ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები („დიდაჭარობა“, „ტბელობა“), საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის გასვლითი კონფერენციები, მოეწყო საჯარო ლექციები.

დაწესებულებას აქვს პერსონალის წახალისების მექანიზმები (ექსპედიციები, კვლევის შედეგების გამოცემა).

სასურველია, პერსონალის წახალისების მექანიზმები ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ ჰქონდეს ერთეული შემთხვევების სახე.

დაწესებულება ახორციელებს გარკვეულ ღონისძიებებს ინტერნაციონალიზაციის კუთხით. მას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დადებული აქვს რუმინეთის ქალაქ კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტთან და დონის როსტოვის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან. აღნიშნული საკითხის განვითარების მიზნით დაწესებულებამ დაამყარა ურთიერთობა რუმინეთის ქალაქ კონსტანცას ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრთან, მიღწეულია ურთიერთშეთანხმება განათლებისა და მეცნიერების სფეროებში შემდეგი საკითხების ირგვლივ: ა) პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა ურთიერთგაცვლა; ბ) ერთობლივი კვლევითი პროექტების, კონფერენციების, შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა/გაზიარება; დ) ინფორმაციისა და პუბლიკაციების გაზიარება და ურთიერთგაცვლა; ე) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ფარგლებში სხვა გამოცდილების გაზიარება.

საჭიროა დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს კონკრეტული საგანმანათლებლო-კვლევითი ორიენტირები სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარების კუთხით, უნდა გაუმჯობესდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების მაჩვენებელი.

დაწესებულებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ქართული აკადემიური სივრცის გამოცდილების გაზიარება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობა, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, სხვა უსდ-ების სასწავლო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების გაზიარება.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

ცალკე აღწერის საჭიროება არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- „ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის“ დებულება (ბრძანება №01–03–03, 07.06.2018);
- დაწესებულების მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება (ბრძანება №01–03/12, 29.01.2019);
- მემორანდუმები ოვიდიუსის უნივერსიტეტთან და დონის როსტოვის უნივერსიტეტთან;
- დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შესაფების მექანიზმები;
- პერსონლის საქმიანობის შეფასების ანალიზი;
- ტრენინგების მასალები: ,,სწავლა სწავლების კვლევის მეთოდებზე“, „ონლაინ ინსტრუმენტების სწავლის ხარისხის ამაღლებაზე“;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებისთვის ქართული აკადემიური სივრცის გამოცდილების გაზიარება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობა, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, სხვა უსდ-ების სასწავლო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების გაზიარება.
- რეკომენდებულია, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს კონკრეტული საგანმანათლებლო-კვლევითი ორიენტირები სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარების კუთხით, უნდა გაუმჯობესდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების მაჩვენებელი.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის ტრენინგები ტარდებოდეს ხშირად და ჰქონდეს მიზნობრივი ხასიათი.

- სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების მექანიზმები ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ ჰქონდეს ერთეული შემთხვევების სახე.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც განაპირობებს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

მატერიალური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო რესურსი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საგანმანათლებლო და კვლევით საჭიროებებს. დაწესებულების სასწავლო ფართი აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით, პრინტერებით და სხვა დამხმარე საშუალებებით. დაწესებულებაში არის კომპიუტერული კლასები. ინტერნეტქსელი ხელმისაწვდომია პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. არის ონლაინ სწავლების რესურსები.

აკადემიურ პერსონალს გააჩნია სამუშაო სივრცე და ასევე თავისუფალი წვდომა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან.

ბიბლიოთეკის წიგნადი და ციფრული ფონდი ძირითადად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. მნიშვნელოვანია აღიშნიშნოს ისიც, რომ ბიბლიოთეკაში დაცულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, თუმცა ბიბლიოთეკაში ასევე დაცული უნდა იყოს არჩევითი ლიტერატურაც, რადგან რეგიონიდან რთული იქნება სტუდენტებისთვის დედაქალაქის ან ცენტრალური ბიბლიოთეკებიდან გამოიწერონ წიგნები სასწავლო პერიოდში. ამასთან, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ უახლესი დარგობრივი ლიტერატურა, მათ შორის, ელექტრონული ვერსიები არ არის მითითებული სასწავლო კურსებში. მნიშვნელოვანია, დაწესებულებას ჰქონდეს საბიბლიოთეკო რესურსის განახლების მექანიზმები და მუდმივად ახლდებოდეს საბიბლიოთეკო ბაზა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. შესაძლებელია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით http://www.tbeli.ge/biblio/opac/index.php სარგებლობა.

ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სამეცნიერო ბაზები. საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით „ტბელის უნივერსიტეტს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ა(ა)იპ - საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან და შპს „Innovative Systems Management”-თან. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე „ტბელის უნივერსიტეტის“ პერსონალსა და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ შემდეგი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით:

Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core)

e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/)

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/page/70/journals)

IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche)

Openedition Journals (http://www.openedition.org/)

Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/)

SAGE Premier (https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier)

SAGE APCs for Open Access Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage) .

მიუხედავად სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობისა, ინტერვიუებით გამოიკვეთა სტუდენტთა მხრიდან მათი გამოყენების დაბალი მაჩვენებელი, რაც ძირითადად, განპირობებულია უცხო ენის ცოდნის ნაკლებობით, სტუდენტებისათვის სამეცნიერო ბაზების შესახებ უნფორმაციის ცოდნის ნაკლებობით და სხვ. სასურველია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა სტუდენტებმა ინტენსიურად გამოიყენონ სამეცნიერო ბაზები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სწავლების ელექტრონული მართვის სისტემა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსი: აუდიტორიები, კომპიუტერული კაბინეტები,

სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დიდი და მცირე დარბაზები, უკაბელო ინტერნეტი, წიგნადი ფონდი და ბიბლიოთეკის სივრცე. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სილაბუსით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურითა და ელექტრონული რესურსებით, კომპიუტერებით, ქსეროქსებითა და პრინტერით. თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი ციფრული ლიტერატურა განთავსებულია დისკზე, რაც მის გამოყენებას მოქნილს და ადვილად მისაწვდომს ხდის.

პროფესორები უზრუნველყოფლნი არიან შესაბამისი სამუშო სივრცით. სტუდენტებისათვის, გარდა სასწავლო აუდიტორიებისა, ფუნქციონირებს კომპიუტერული აუდიტორიები. უნივერსიტეტს აქვს წვდომა სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, თუმცა სტუდენტები იშვიათად იყენებენ ელექტრონულ სამეცნიერო რესურსს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ფუნქციონირებისათვის დაწესებულებაში არსებობს მატერიალური რესურსი. აუდიტორიები, კომპიუტერული კაბინეტები, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დიდი და მცირე დარბაზები, უკაბელო ინტერნეტი, წიგნადი ფონდი და ბიბლიოთეკის სივრცე. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სილაბუსით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურითა და ელექტრონული რესურსებით, კომპიუტერებით, ქსეროქსებითა და პრინტერით. სამაგისტრო საგამანათლებლო პროგრამა, რომელიც კვლევას ითვალისწინებს უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით. უნივერსიტეტს აქვს წვდომა სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, თუმცა სტუდენტები იშვიათად იყენებენ ელექტრონულ სამეცნიერო რესურსს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3(ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტში არსებობს აუდიტორიები, კომპიუტერული კაბინეტები, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დიდი და მცირე დარბაზები, უკაბელო ინტერნეტი, წიგნადი ფონდი და ბიბლიოთეკის სივრცე. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სილაბუსით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურითა და ელექტრონული რესურსებით, კომპიუტერებით, ქსეროქსებითა და პრინტერით. სამაგისტრო საგამანათლებლო პროგრამა, რომელიც კვლევას ითვალისწინებს უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით. უნივერსიტეტს აქვს წვდომა სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, თუმცა სტუდენტები იშვიათად იყენებენ ელექტრონულ სამეცნიერო რესურსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო
- პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან.
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სწავლების ელექტრონული მართვის სისტემა.
- სასურველია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა სტუდენტებმა ინტენსიურად გამოიყენონ დაწესებულებაში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას.
- სასუურველია, დაწესებულებას ჰქონდეს საბიბლიოთეკო რესურსის განახლების მექანიზმები და მუდმივად ახლდებოდეს საბიბლიოთეკო ბაზა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.
- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში შეტანილი არჩევითი ლიტერატურა დაცული იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო და „ქართული ლიტერატურის“ და „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა/პროგრამები) ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თითოეული პროგრამისთვის შემუშავებული, დაწესებულების რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების ბიუჯეტებიდან (იხ. რექტორის ბრძანებით #01-03/35, 27.12.2021 დამტკიცებული პროგრამების 2022 წლის ბიუჯეტები), რომლებიც თავის მხრივ იქმნება დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტის გათვალისწინებით. დაწესებულების ბიუჯეტის შემუშავებისას მხედველობაში მიღება საბიუჯეტო წლისათვის სავალდებულო მიმდინარე ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, ფაკულტეტების სასწავლო და კვლევითი ხარჯები, ფაქტობრივად წარმოქმნილი ვალდებულებები და სხვ.), წლიურ ბიუჯეტს ამტკიცებს დაწესებულების რექტორი. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „პროგრამის ბიუჯეტის ფორმირება ხდება პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, წლის ბოლოს, შეგროვებული მტკიცებულებებისა და ანალიზის შესაბამისად“,

დაწესებულებაში სწავლა უფასო. შესაბამისად, პროგრამების ბიუჯეტებში მითითებული შემოსავალი (84315 ლარი - საბაკალავრო პროგრამა; 78615 ლარი - სამაგისტრო პროგრამები) არ არის დამოკიდებული სწავლის საფასურის გადასახადზე. დაწესებულების საქმიანობა მხარდაჭერილია საქართველოს საპატრიარქოს მიერ. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტების და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, არსებობს სხვადასხვა სახის კერძო შემოწირულობები, რომლებიც მიმართულია დაწესებულების მდგრადობისა და საქმიანობის უზრუნველყოფაზე, რაც გულისხმობს: სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების დაფინანსებას, საგამომცემლო საქმიანობას, სტუდენტთა წახალისებას სტიპენდიისა და ექსკურსიების სახით, დაწესებულების ინფრასტრუქტურის (არსებული ფართების), მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულების ბიუჯეტიდან, ასევე, ხდება ტექნიკური აღჭურვილობის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება და განვითარება, კვების დაფინანსება, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება, პერსონალის წახალისება და პროფესიული და სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობა და სხვ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

პროგრამას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც შემუშავებულია დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტის საფუძველზე. პროგრამის ბიუჯეტი იქმნება ერთი წლისთვის და მტკიცდება რექტორის ბრძანებით. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტების და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „პროგრამის ბიუჯეტის ფორმირება ხდება პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, წლის ბოლოს, შეგროვებული მტკიცებულებებისა და ანალიზის შესაბამისად“. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი არ არის დამოკიდებული სწავლის საფასურის გადახდაზე (პროგრამით სწავლა უფასოა). პროგრამის სხვადასხვა საჭიროებების დაფინანსება ხდება პროგრამის ბიუჯეტიდან, ასევე დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტიდან. ინფრასტრუქტურის და/ან მატერიალურ-ტექნიკური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამას არ აქვს განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც მოითხოვს პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინების აუცილებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

პროგრამას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც შემუშავებულია დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტის საფუძველზე. პროგრამის ბიუჯეტი იქმნება ერთი წლისთვის და მტკიცდება რექტორის ბრძანებით. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტების და

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „პროგრამის ბიუჯეტის ფორმირება ხდება პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, წლის ბოლოს, შეგროვებული მტკიცებულებებისა და ანალიზის შესაბამისად“. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი არ არის დამოკიდებული სწავლის საფასურის გადახდაზე (პროგრამით სწავლა უფასოა). პროგრამის სხვადასხვა საჭიროებების დაფინანსება ხდება პროგრამის ბიუჯეტიდან, ასევე დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტიდან. ინფრასტრუქტურის და/ან მატერიალურ-ტექნიკური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამას არ აქვს განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც მოითხოვს პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინების აუცილებლობას. ამაცდროულად, მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში იყოს გათვალისწინებული მაგისტრანტთა კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

პროგრამას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც შემუშავებულია დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტის საფუძველზე. პროგრამის ბიუჯეტი იქმნება ერთი წლისთვის და მტკიცდება რექტორის ბრძანებით. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტების და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „პროგრამის ბიუჯეტის ფორმირება ხდება პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, წლის ბოლოს, შეგროვებული მტკიცებულებებისა და ანალიზის შესაბამისად“. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი არ არის დამოკიდებული სწავლის საფასურის გადახდაზე (პროგრამით სწავლა უფასოა). პროგრამის სხვადასხვა საჭიროებების დაფინანსება ხდება პროგრამის ბიუჯეტიდან, ასევე დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტიდან. ინფრასტრუქტურის და/ან მატერიალურ-ტექნიკური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამას არ აქვს განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც მოითხოვს პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინების აუცილებლობას. ამაცდროულად, მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში იყოს გათვალისწინებული მაგისტრანტთა კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში იყოს გათვალისწინებული მაგისტრანტთა კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის საკითხი.

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში იყოს გათვალისწინებული მაგისტრანტთა

კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის საკითხი.

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების საკითხებს არეგულირებს „წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, რომლის თანახმად:

- პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი (მ.1, პ.4);
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესში მონაწილეობას ღებულობს დარგის აკადემიური პერსონალი, დარგის სამეცნიერო პერსონალი (არსებობის შემთხვევაში), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები, ინსტიტუციები. პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, აბიტურიენტების, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოთხოვნებს (მ.1, პ.3)
- პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს: სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს (დარგობრივი მახასიათებელი, ავტორიზაციის სტანდარტი, აკრედიტაციის სტანდარტი), დაწესებულების მისიას და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების – სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალის (არსებობის შემთხვევაში), დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარის შეხედულებებს, კვლევის ანალიზს (მ.1, პ.5);
- პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს დაწესებულების რექტორი (მ.1, პ.6).

კლასტერში დაჯგუფებული „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „ქართული ლიტერატურის“ და „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა/პროგრამები) მოდიფიცირების მიზნით, დაწესებულების რექტორის ბრძანებით (#01-03/37, 27.12.2021) პროგრამების კლასტერული აკრედიტაციისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (იხ. ბრძანების დანართი #2) შემდეგი შემადენლობით: პრორექტორი (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი), ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე, პროგრამების ხელმძღვანელები, პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის ზედამხედველი, „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი, დამსაქმებელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, იურისტი, იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი. სამუშო ჯგუფის წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ თავიდანვე განხორციელდა მათ შორის ფუნქციების განაწილება, სამუშაო პროცესში ტარდებოდა შეხვედრები, მიმდინარეობდა განხორციელებული და განსახორციელებელი საქმიანობის განხილვა, სამუშაო ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ სხვადასვა ტრეინინგებს და თავად ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს პროგრამების განმახორციელებლებთან. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე და უპასუხეს ამ პროცესთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე (მაგ., პროგრამების ბიუჯეტის შესახებ, პროგრამიების მოდიფიცირების პროცესში შესწავლილ საკითხებზე, კომუნიკაცია ჯგიფის წევრებს შორის, თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და მისი ფუნქციები თვითშეფასების პროცესში და ა.შ.). ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ სისტემატურად

ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები, სადაც განიხილებოდა შესრულებული და შესასრულებელი სამუშაო, იყო შესაწავლილი პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, ანალოგი პროგრამები, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები და ა.შ. სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა ამ პროცესში და მიღებული საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერა. პროგრამის ხელმძღვანე-ლებმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამების მოდიფიცირების პროცესში შეისწავლეს საქართველოს უსდ-ების პროგრამები, შემუშავდა სილაბუსები, რომლებიც რამდენჯერმე იყო განხილული პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სილაბუსებში განხორციელდა ცვლილებები, რის შემდეგ მოხდა საბოლოო ვარიანტების დამტკიცდა. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ სამუშაო პროცესში იყო გამოყე-ნე-ბული დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტი „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“, რომლის შესაბამისად ყველა პროგრამისთვის დადგინდა სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების თანხვედრა, განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები და შედეგების მიღწევის შეფასების პროცედურები.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“. ასევე, პროგრამების შეფასების მიზნით შემუშავებულია დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“ (დაწყებულია მისი დანერგვა - თითოეული პროგრამისთვის შედგენილია „სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების თანხვედრის“ ცხრილი, სადაც მითითებულია სწავლის შედეგებში მონაწილე სასწავლო კურსები და მათი მნიშვნელობა პროგრამის შედეგების ფორმირებისათვის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). ასევე, პროგრამების კურიკულუმებში დანართების სახით წარმოდგენილია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები“ (მითითებულია სწავლის შედეგები, შეფასების ინდიკატორები, შფასების მეთოდები, ინდიკატორების შეფასების რუბრიკა, შეფასების პერიოდი და სამიზნე ნიშნულები);

2. პროგრამის მოდიფიცირება და თვითშეფასება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სამუშაო პროცესში მიმდინარეობდა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენა და სამუშაო აქტივობების დაგეგმვა. ასევე, დაიგეგმა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების გაუმჯობესებისათვის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება (2022-2023 აკადემიური წლისათვის);

3. შემუშავებული და გამოყენებულია როგორც კურიკულუმების და სილაბუსების უნიფიცირებული ფორმები (წინასწარ განსაზღვრულია კურიკულუმებში და სილაბუსებში სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაცია), ისე პროგრამების და პროგრამების კომპონენტების შეფასების მიზნით შემუშავებული და გამოყენებულია „პროგრამის შემოწმების ფორმა“, „სილაბუსის შემოწმების ფორმა“, „სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასების ფორმა“ (დამატებით წარმოდგენილია შევსებული ფორმების ნიმუშები);

4. პროგრამის შეფასების მექანიზმად გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის განმახორციელებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვა;

5. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი გარკვეულ წილად იცნობს დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოცის მექანიზმებს (დასახელდა: პერსონალი შეფასება და გამოკითხვები) და ელექტრომული სწავლების ცალკეულ ასპექტებს (დასახელდა: დისტანციური

ფორმით ლექციო პროცესის ორგანიზება და ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ამ ეტაპზე შემუშავების პროცესშია);

6. პროგრამების განმახორციელებლებს პრიოდულად უტარდებათ სხვადასხვა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული, საინფორმაციო შეხვედრები და ტრეინინგები;

7. ტარხება პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასება, უზრუნველყოფილია უკუკავშირი და ინფორმირება შეფასების შედე-გე-ბის შესახებ (ინტერვიუში მონაწილე პერსონალის განმარტებით, შედეგები განხილება ინდივიდუალურად).

ამავდროულად, დოკუმენტების შესწავლით გამოიკვეთა პროგრამების განვითარებისა და შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის გამოყენების, ასევე და პერსონალის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროება ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

<u>1. ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის მექანიზმების გამოყენება</u>, მაგ.:

1) <u>წინაპირობების გამჭვირვალობა და რელევანტურობა</u> - 1) სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი წინაპირობების გამჭვირვალობა (მისათითებელია ინფორმაცია კონკრეტულ დონეზე ინგლისური ენის ფლობის აუცილლებლობის შესახებ); 2) სასწავლო კურსების შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს არარელევანტური წინაპირობების მითითება, მაგ., ინგლისური ენა, C1 -2 – „სასწავლო კურსის შესწავლისათვის სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მასალა," (იხ. ქართველური ენათმეცნიერების სამსაგისტრო პროგრამა, სილაბუსები); სილაბუსში „სამაგისტრო ნაშრომის შესრულება" (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა) წინაპირობაა „კვლევის მეთოდები", რაც პროგრამით გათვა-ლის-წინებული არ არის;

2) <u>ინფორმაციის სიზუსტე</u> - უნდა გამოირიცხოს შეუსაბამო/ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერები, მაგ.,

1) ქართველური ენათლეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა - „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის აუცილებელია სტუდენტს გავლილი ჰქონდეს ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინები და <u>არ გააჩნდეს აკადემიური დავალიანება"</u> (გვ. 11). ამავდროულად „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების თანახმად (მ. 16, პ.8) – „მაგისტრატურის დამამთავრებელ, მეოთხე სემესტრში, <u>სტუდენტს უფლება აქვს კვლევით კომპონენტთან – სამაგისტრო ნაშრომთან ერთად დაარეგისტრიროს „F" (ჩაიჭრა) შეფასების მქონე საგანი,</u> თუ ერთ სასწავლო წელში ათვისებული კრედიტების ჯამი არ აღემატება 75 კრედიტს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ერთ სასწავლო წელში ასათვისებული კრედიტების ჯამი აღემატება 75 კრედიტს, მაშინ სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის აპრობაცია, მაგრამ ნაშრომის დაცვის შესაძლებლობა მიეცემა, მხოლოდ მას შემდეგ რაც დაფარავს ყველა სასწავლო კომპონენტში არსებული აკადემიურ დავალიანებებს".

2) ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში (გვ. 11) ინგლისური ენის (C-1,2) წინაპირობად მითითებულია: „სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის საბაკა-ლავრო პროგრამით გათვალისწინებული მასალა" / სილაბუსით - „წინაპირობის გარეშე";

3) ორივე სამაგისტრო პროგრამაში ასებულ ინგლისური ენის (C-1,2) სასწავლო კურსებს აქვთ განსხვავებული წინაპირობები: ინგლისური ენა, C1-2 – „სასწავლო კურსის შესწავლისათვის სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მასალა" (ქართველური ენათმეცნიერება) / „წინაპირობის გარეშე" (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა); 3) ორივე სამაგისტრო პროგრამაში „სამაგისტრო ნაშრომს" აქვს განსხვავებული დაშვების წინაპირობები: „სტუდენტს გავლილი ჰქონდეს ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინები და არ

გააჩნდეს აკადემიური დავალიანება“ (ქართველური ენათმეცნიერების პროგრამა) / „კვლევის მეთოდები“ (ქართული ლიტერატურის პროგრამა).

3) <u>სწავლის შედეგების გაზოვმადობა</u> - ამ თვალსაზრისით შედეგები დასახვეწია როგორც პროგრამების (მაგ., „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის შედეგი C_3; „ქართული ლიტერატუსის“ სამაგისტრო პროგრამის შედეგი C_2), ისე პროგრამების კომპონენტების დონეზე (მაგ., „საკუთარი როლის გაცნობიერება ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა“; „კლასიკური ენების, კერძოდ, ძველი ბერძნული ენის, ცოდნა აფართოებს სტუდენტის კულტურულ თვალსაწიერს, აზიარებს მას იმ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რაც კაცობრიობამ განვითარების ადრეულ ეტაპზე შექმნა“; „ქართული საერო ლიტერატურის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება, ჰუმანურობა და ტოლერანტობა.“; „საკუთარი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული ვითარების, მისი სულიერი ფასეულობების და ტრადიციების გაცნობით ჩამოყალიბდება კრიტიკულად მოაზროვნე თავისუფალ პიროვნებად, რომელსაც ექნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და პასუხისმგებლობა“, „პროფესიული ცოდნის განვითარებაში შეაქვს წვლილი“ და ა.შ.);

4) <u>კონტროლი მარეგულირებელ დოკუმენტებში არსებულ ჩანაწერებზე</u>:

1) უნდა გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს, მაგ., „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ცალკეული მუხლები (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სწავლის უფლება (მ.4.პ.4); სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები (მ.5, პ.1, ქ/პ „ლ“); სტუდენტის სტატუსის აღდგენა (მ.9, პ.2, 4); შიდა მობილობა (მ. 8, პ.7); ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა ჩარიცხვა (მ.14, პ.3) და სხვა);

2) უნდა დაკორექტირდეს ჩანაწერები, რომლებიც არეგულირებენ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგალითად, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში“ არსებული ჩანაწერები: „სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ (მ.2, პ. 5, ქ/პ5.5.); „შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის გამოცდილებები“ (მ.5, პ.4, ქ/პ 4.5.), „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითად სპეციალობას უნდა ეთმობოდეს არანაკლებ 120 კრედიტი. პროგრამის საერთო მოცულობიდან 10 კრედიტი უნდა დაეთმოს არჩევითი სტატუსის მქონე <u>სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს</u>, მაგალითად: „საბაკალავრო ნაშრომი“, „კვლევითი რეფერატი“, ან სხვა სახის კვლევით კომპონენტს სპეციალობაში“ (მ.2, პ.6) და სხვა;

3) უნდა დაკორექტირდეს დღეისათვის არარელევანტური ტერმინები (მაგ., სხვადასხვა დოკუმენ-ტებში გამოყენებული „ძირითადი სპეციალობა“, „დამატებითი სპეციალობა“ და ა.შ.) და ჩანაწერები (მაგ., „შიდა მობილობის შედეგებს ორი კვირის ვადაში მიაწოდებს სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი’’-ს; (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, მ.14, პ.3);

<u>2. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციების სრულყოფის ხელშეწყობა</u> - უნდა გაუმჯობსდეს პერსონალის ისეთი საკითხების ცოდნა, როგორიცაა პროგ--რამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები და სხვ., რაც უზრუნველყოფს პროგრამების სრულყოფას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაუმჯობესებელი აღმოჩნდა არა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საკმარისობა, არამედ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მოდიფიცირების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის მექანიზმების გამოყენების, ასევე პროგრამის პერსონალის პერსონალის კომპეტენციების სრულყოფისა და ხელშეწყობის საკმარისობის საკითხები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობამ განაპირობა სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- რექტორის ბრძანება (#01-03/37, 27.12.2021) თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებით დაინტერესებული მხარეების: დამსაქმებლის, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების შეხვედრების ოქმი (29.08.2022; 30.08 2022);
- „წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“;
- „მაგისტრატურის დებულება“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმები და პროგრამების კომპონენტების სილაბუსები);
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმების დანართები (1. ქართული ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები; პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი დონეების მითითებით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება); სწავლის შედეგების თანხვედრა სასწავლო კურსებთან და მათი სემესტრული განაწილება; 2. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები; პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი დონეების მითითებით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება); სწავლის შედეგების თანხვედრა სასწავლო კურსებთან და მათი სემესტრული განაწილება; 3. ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები; პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი დონეების მითითებით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება); სწავლის შედეგების თანხვედრა სასწავლო კურსებთან და მათი სემესტრული განაწილება);
- საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების ფორმა, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- სილაბუსის შემოწმების ფორმა, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასება, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (და-მა-ტებით წარმოდგენილი);
- ქართული ლიტერატურის და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამები - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის მუშაობის შეფასების ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების მუსაობა და აქტივობები, 10.09.2022;
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების დაგეგმვა, 2022-2023 სასწავლო წლისათვის;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის პოტენციურ დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (გაერთიანებული 2021-2022, ასევე 2021-2022 სასწავლო წლის სწავლის შედეგების შეფასება - I, II, III, IV კურსებისთვის);

- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელი;
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- ქართული ფილოლოგიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალის საქმიანობის სწავლებასა და კვლევის ხარისხის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგების გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი (დამატებით წარმოდგენილი);
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების დაგეგმვა, 2022-2023 სასწავლო წლისათვის;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა - 2021-2022 სასწავლო წლის სწავლის შედეგების შეფასება;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა - სწავლის შედეგების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ და შესაბამისად პროგრამის გაუმჯობესება;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები პროგრამის შესახებ, 2021;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა - სწავლის შედეგების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ და შესაბამისად პროგრამის გაუმჯობესება
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების მუშაობა და აქტივობები;
- ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების დაგეგმვა, 2022-2023 სასწავლო წლისათვის;
- ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა პოტენციურ დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი;
- ქართული ლიტერატურის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, 2021-2022;
- ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელი;
- ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანგარიში;
- ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის საქმიანობის სწავლებასა და კვლევის ხარისხის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგების გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფის გაფართოებული კრების ოქმი (#03-02-04/3, 21-22.05.2021);
- ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფის გაფართოებული კრების ოქმი (#03-02-04/4, 13-14.07.2021);
- ტრეინინგი ონლაინინსტრუმენტები სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის;
- ტრეინინგი სწავლა/სწავლებისა და კვლევის მეთოდები უმაღლეს სკოლაში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის შიდა ხარისხის შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები,

მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები, ასევე, განხორციელელდეს პროგრამის კომპლექსური შეფასება (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით);

- რეკომენდებულია, მოქმედ კანონმდებლობასთან კავშირში გადაიხედოს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტების ცალკეული ჩანაწერების შესაბამისობა და განხორციელდეს ცვლილებები;
- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგ--რამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, კლასტერში დაჯგუფებულის პროგრამების განვითარების მნიშვნელოვან პროცესად მიიჩნევა ავტორიზაციისა (2019 წელი) და აკრედიტაციის (2012 წელი) პროცესში მიღებული გარე შეფასებები. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გათვალისწინებულ იქნა 2012 წელს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები, კერძოდ:

პროგრამა	რეკომენდაცია	დაწესებულების განმარტება
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმ-ჯო-ბესების მიზნით, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუ-მების შემუშავება“	განახლებულ სილაბუსებში დაემატა შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმები, რომე-ლიც სხვადასხვა საგანში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. თუ აკრედიტაციამდე შე-მოვიფარგლებოდით ზეპირი და წერით გამოკითხვებით. დისკუსია, პრეზენტაცია, რეფერატის შესრულება.
ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა	სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმ-ჯო-ბესების მიზნით, კურსების სპეციფი-იდან გამომდინარე სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუ-მების შემუშავება.	განახლებულ სილაბუსებში და დაემატა შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმები, რომელიც სხვადასხვა საგანში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. თუ აკრედიტაციამდე შემოვიფარგლებოდით ზეპირი და წერით გამოკითხვებით. დისკუსია, პრეზენტაცია, რეფერატის შესრულება.
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა	სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სსასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მრავალფეროვანი კრიტერიუმების შემუშავება.	დაიხვეწა და შემუშავდა შეფასების კრიტერიუმები, ბუნებრივია, სასწავლო კურსების სპეციფიკის საშუალებით. აღნიშნული ცვლილება კიდეც აისახა სასწავლო სილაბუსებში. ამ კუთხით სილაბუსებში დაემატა დისკუსია, პრეზენტაცია. შესაბამისად, გაიწერა შეფასების კრიტერიუმები.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, გარდა ზემოთ მითითებულისა, ცვლილება შევიდა პროგრამასა და სილაბუსებში 2019 წლის შემდეგ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების თანახმად: „კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მიხედვით გაკეთდა შესწორებები სწავლის მიზნების, შედეგების და ასევე, სასწავლო შედეგები დაყვანილ იქნა სამ საფეხურამდე (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)“. აქვე აღსანიშნავია, რომ 2012/2019 წელს მიღებული გარე შეფასებების შედეგები ვერ იქნება გადამწყვეტი 2021-2022 წელს პროგრამების მოდიფიცირებისათვის, რადგან აკრედიტაციის/ავტორიზაციის გავლის შემდგომ პერიოდში შეიცვალა აკრედიტაციის სტანდარტები, შემუშავდა შესაბამისი უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, ავტორიზაციის სტანდარტები კი არ ითვალისწინებს პროგრამების შინაარ-სობრივი მხარის შესწავლას. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში 2022 წელს განხორციელებული განმავითარე-ბელი კოლეგიალური შეფასება (შემფასებლები: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომ-ლები). ამ შემთხვევაში, წარმოდგენილია არა უშუალოდ განხორციელებული გარეშეფასება და გამოთქმული მოსაზრებები/რეკომენდაციები, არამედ პროგრამის ხელმძღვანელის

მიერ შეფასების მოკლე აღწერა, რომლის თანახმად: „პროგრამაში სათანადო ყურადღება ეთმობა დიალექტოლოგიის საკითხებს. დავსძენთ, რომ ამ მიმართულებით პროგრამა იმთავითვე, ფუნქციონირებიდანვე, ითვალისწინებდა ამ კუთხით სასწავლო საგნებს (სილაბუსები-ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი–I (ისტორიული დიალექტოლოგია), ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი–II (ისტორიული დიალექტოლოგია), აჭარული და ტაო-კლარჯული კილოები. ასევე, ხაზს გავუსვამდი დაცულ სამაგისტრო ნაშრომთა თემატიკასაც. რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი შესრულდა დიალექტოლოგიური კუთხით. ეს ნიუანსიც იქნა მოწონებული“.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ხელმძღვანელების, თვითშეფასების ჯგუფის წევრებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებთ, პროგრამის განვითარებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამების გარეშეფასება დამსაქმებლებისა და პროგრამების კურსდამთავრებულთა მიერ. თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა განხორციელდა პროგრამების მოდიფიცირების პროცესში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით (გამოკითხვების ფორმებით, ანალიზის დოკუმენტებით), თუმცა აღსანიშნავია შემდეგი:

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა: 1) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. ანალიზის დოკუმენტის თანახმად, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ჩატარდა, „რათა დაედგინათ რამდენად შეძლეს კარიერული თვალსაზრისით წინსვლა და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება“. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ჩატარდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელის დასადგენად: კურსდამთავრებულები აფასებდნენ მიღებული განათლების ისეთ ასპექტებს, როგორიცაა „სფეროს ფართო ცოდნა და გაცნობიერება; სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; პროფესიისათვის საჭირო შემდგომი განვითარებისა და სწავლის უნარი; პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრების უნარი“. 2) ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა - წარმოდგენილია „სწავლის შედეგების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ და შესაბამისად პროგრამის გაუმჯობესება“. წარმოდგენილი ანალიზის დოკუმენტის თანახმად, იყო დასმული 1 კითხვა - რამდენად დაეხმარა პროგრამის გავლა დასაქმებასა და კარიერულ წინსვლაში). 3) ქართული ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა - წარმოდგენილია ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელი (კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ჩატარდა სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელის დასადგენად, დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულები აფასებდნენ მიღებულ განათლებას). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულები აფასებენ მიღებულ განათლებას და არა ახალ, მოდიფიცირებულ პროგრამას, შესაბამისად წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებების კვლევა ვერ ჩაითვლება მოდიფიცირებული პროგრამის გარეშეფასებად. აქვე, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუში მონაწილე კურსდამთავრებულები დადებითად აფასებდნენ დაწესებულებაში სწავლის პერიოდს და მიღებულ განათლებას, თუმცა არ ფლობდნენ ინფორმაციას მოდიფიცირებული პროგრამების და განხორციელებული ცვლილებების შესახებ.
- დამსაქმებლების გამოკითხვა და შრომის ბაზრის კვლევა: 1) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - წარმოდგენილი დოკუმენტის „ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი“ თანახმად, კვლევის ობიექტად შეირჩა ხულოს, შუახევის, ქედის და ბათუმის როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლები და საბავშვო ბაღები. დასმული იყო კითხვები: 1. რომელ ორგანიზაციას წარმოადგენთ; 2. როგორ ავრცელებთ ინფორმაციას თქვენი ვაკანსიების შესახებ; 3. რა წესით ხდება ორგანიზაციაში კადრის შერჩევა, ვაკანტური ადგილის დაკავება; 4. რა

სირთულეებს აწყდებოდა ორგანიზაცია ადამიანური რესურსების მოძიებისას; 5. შესაბამისობაშია თუ არა ორგანიზაციის თანამშრომელთა განათლება იმ მოთხოვნებთან რაც აუცილებელია სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად; 6. რა კომპეტენციების ფლობაა აუცილებელი სამსახურის თანამშრომლებისათვის; 7. ინფორმაცია თანამშრომელთა გადამზადების შესახებ; 8. რეკომენდაციები თუ რა სახის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული; 9. რეკომენდაციები თუ რა სახის ცვლილებებია საჭირო ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში". გამოკითხული სუბიექტებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: „თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ურთიერთშეჯერება, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფლობა. დამსაქმებელთა მოთხოვნაა ასევე მართლწერის წესების, საქართველოს ისტორიის, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა. დამსაქმებლების ინტერესია კურსდამთავრებულს ჰქონდეს კონკრეტული ცოდნა სასკოლო განათლებაში". ამავე დოკუმენტში მითითებულია: „ვფიქრობთ, გადახალიებული ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ნამდვილად შეძლებს დამსაქმებელტა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და წარმატებული სამსახურეობრივი კარიერის შექმნა". 2) ქართული ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა - წარმოდგენილია „ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა. პოტენციურ დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი". წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, რესპოდენტებისთვის იყო დასმული კითხვები: 1. სად არის ისეთი ვაკანსია, რომელზეც შეიძლება დასაქმდეს ფილოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებული? 2. რა ცოდნას, უნარს საჭიროებს ვაკანსიაზე დასასაქმებელი პირი? 3. რა კომპეტენციების ფლობას ანიჭებენ უპირატესობას ორგანიზაციაში შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად?". გამოკითხვას გამოეხმაურა მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების უფროსი, რომელმაც დაასახელა ვაკანსია - ფოლკლორის მიმართულების სპეციალისტი. ცოდნის კომპეტენციად დასახელდა ქართული ზეპირსიტყვიერების ღრმა ცოდნა, უნარებად დასახელდა ფოლკლორის ცოდნის გამოყენება კულტურულ და ინტერკულტურულ საქმიანობაში, პასუხისმგებლობად დასახელდა საქმიან გარემოში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა". ამავე დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განვითარებისთვის განხორციელდა კვლევის შედეგების გამოყენება, კერძოდ: კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს დაემატება მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილება, სწავლის შედეგებში დაემატება ფოლკლორის ცოდნის გამოყენება კულტურულ და ინტერკულტურულ საქმიანობაში, სასწავლო კურსს „ქართული მწერლობა და ფოლკლორი" დაემატა თემა: „ქართული ფოკლორი კულტურულ და ინტერკულტურულ საქმიანობაში". 3) ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა - წარმოდგენილია „ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი", რომლის თანახმად: ა) გამოკითხვებში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციები: „ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, გაზეთ „აჭარის" რედაქცია, ბსუ-ს გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი" და ბსუ-ს გამომცემლობა ბათუმის, ხულოს, ქედის, შუახევის რესურსცენტრები, სკოლის დირექტორები, რამეთუ მასწავლებლის პროგრამის გავლის შემდეგ, ბევრი სკოლაში დასაქმდა". დამსაქმებლებისაგან დაწესებულებას აინტერესებდა ძირითადად შემდეგი ინფორმაცია: რა სირთულეებს აწყდებოდა ორგანიზაცია ადამიანური რესურსების მოძიებისას, რა კომპეტენციების ფლობაა აუცილებელი სამსახურის თანამშრომ-ლებისათვის, რეკომენდაციები თუ რა სახის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული, რეკომენდაციები თუ რა სახის ცვლილებებია საჭირო ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში. „დამსაქმებლის ცალსახა (გამოკითხულთა 100%) მოთხოვნაა შეარჩიოს კარგი პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც ექნება დარგობრივი მიმართულებით თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ასევე, ასახელებენ კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენის ცოდნას. ხაზგასმით ითხოვდნენ ქართული ენის გრამატიკის საკითხების ცოდნას. რეკომენდაციების ჩამონათვალში

სახელდება, აგრეთვე, კომუნიკაბელური ხასიათი, სპეციალობის სიყვარული, განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ცოდნა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებლების წარმოდგენილი კვლევა წარმოადგენს „პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზს“ და ვერ ჩაითვლება მოდიფიცირებული პროგრამების გარეშეფასებად.

ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლებმა (ვიზიტის დღის წესრიგის თანახმად: აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქედის მუნიციპალიტეტის, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შუახევის მუნიციპალიტეტის, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხულოს მუნიციპალიტეტის, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები) აღნიშნეს, რომ ჰქომდათ შეხვედრები სამუშაო ჯგუფთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან, აცნობდნენ თავიანთ მოსაზრებებს და ა.შ., თუმცა ვერ დაასახელეს გაცემული რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები. ამავდროულად, დამსაქმებები დადებითად აფასებდნენ პროგრამებს და ადასტურებდნენ როგორც რეგიონისთვის პროგრამების მნიშვნელობას, ისე მათთან დასაქმებული კურსდამთავრებულების კომპეტენტურობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემური აღმოჩნდა არა კურსდამთავრებულების და დამსაქ-მებლების დამოკიდებულებების კვლევის არარსებობა, არამედ ამ კვლევევის შინაარსიდან გამომდინარე პროგრამების ხარისხის გარეშეფასებად მათი გამოყენების შეუძლებლობა. დოკუმენტირებული ინფორმაციის არარსებობის გამო პრობლემურია იმაზე მსჯელობა იყენებს თუ არა პროგრამა რეგულარულად გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობამ განაპირობა სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან ნაწილობრივი შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- რექტორის ბრძანება (#01-03/37, 27.12.2021) თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებით დაინტერესებული მხარეების: დამსაქმებლის, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების შეხვედრების ოქმი (29.08.2022; 30.08 2022);
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების მუშაობა და აქტივობები, 10.09.2022;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის პოტენციურ დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი;
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელი;
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა - სწავლის შედეგების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ და შესაბამისად პროგრამის გაუმჯობესება;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა - სწავლის შედეგების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ და შესაბამისად პროგრამის გაუმჯობესება;

- ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა პოტენციურ დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი;
- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელი;
- ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს;
- რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
- რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი როგორც რესპოდენტების რაოდენობის, ისე მათ მიერ მიერ პროგრამის სხვადასხვა ასპექტების შეფასების შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების/რეკომენდაციების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დადგენა.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	X	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	☐	☐	X	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება,	☐	☐	X	☐

მაგისტრატურა)				

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, დაწესებულება ახდენს პროგრამის და მისი განხორციელების შესწავლა-შეფასებას სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით. ასე, მაგალითად, გამოიყენება პროგრამების და სილაბუსების შემოწმება, პროგრამის პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავ-რე-ბულების და დამსაქმებლების გამოკითხვები, პერსონალის (მათ შორის სამაგისტრო ნაძრომების ხელმძღვანელების) საქმიანობის შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა, შედეგების შესწავლა-ანალიზი და სხვ. ზემოთ მითითებული წარმოადგენს დაწესებულებაში მოქმედ საერთო მიდგომას, რომელიც იყო გამოყენებული კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შემთხვევაშიც. აღნიშნული მექანიზმების გამოყენებას ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები: პროგრამების პერსონალმა, კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა დაადასტურეს გამოკითხვებში მონაწილეობა. ასევე, პროგრამების პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს და ისინი კმაყოფილები არიან სწავლების ხარისხით და დაწესებულებაში არსებული გარემოთი. ასე, მაგ., გამოკითხვის „სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით. 2021 წლის შემოდგომის სემესტრი“ თანახმად: უზ-რუნველყოფილია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტური წარმართვა (სტუდენტები: დიახ - 83, არა - 5, ნაწილობრივ - 59; პერსონალი: დიახ - 39, არა - 0, ნაწილობრივ - 8), არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი (სტუდენტები: დიახ - 80, არა - 10, ნაწილობრივ - 57; პერსონალი: დიახ - 32, არა - 1, ნაწილობრივ - 13), არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი (სტუდენტები: დიახ - 72, არა - 15, ნაწილობრივ - 60; პერსონალი: დიახ - 30, არა - 2, ნაწილობრივ - 14) და ა.შ. აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების საქმიანობის შეფასება (დასტურდება დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით), თუმცა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებისას არ ხდება განათლების საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინება, მაგ., სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შესრულებასთან და ხელშწყობასთან დაკავშირებული გარემოებების, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემების, მაგისტრანტთა მოლოდინების და სხვ. საკითხების შესწავლა. შესაბამისად, არ დგინდება რა იყო მაგისტრანტებისთვის პრობლემური და რა ცვლილებები და აქტივობები განხორციელდა სამაგისტრო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განვითარების და მაგისტრანტთა ხელშეწყობის მიზნით. გარკვეული კითხვები გამოიწვია გამოკითხვის ცალკეულმა შედეგებმა, მაგ.:

- 2021 წლის შემოდგომის სემესტრში „ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ“ ორივე საფეხურის სტუდენტებისთვის ჩატარებული გამოკითხვის

შედეგებია - კითხვაზე: „გაქვთ თუ არა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა“ გაცემული პასუხებია: დიახ - 26, არა - 33, ნაწილობრივ - 14.

- ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებია, მაგ.: კითხვაზე „გაქვთ თუ არა ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ?“ გაცემული პასუხებია - ა) პერსონალი: დიახ - 0, არა - 0, ნაწილობრივ - 0, ბ) სტუდენტები: დიახ - 0, არა - 0, ნაწილობრივ - 0; კითხვაზე „გაქვთ თუ არა სურვილი მონაწილეობა მიიღოთ გაცვლითი პროგრამებში?“ გაცემული პასუხებია - ა) პერსონალი: დიახ - 22, არა - 15, ნაწილობრივ - 0, მიჭირს პასუხის გაცემა - 18, ბ) სტუდენტები: დიახ - 152, არა - 58, ნაწილობრივ - 0, მიჭირს პასუხის გაცემა - 52. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს გაცვლითი პროგრამებით დაინტერესება დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.
- ზემოთ მითითებული გამოკითხვების შედეგებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ გარკვეული პრობლემები იყო დაკავირებული საბიბლიოთეკო ფონდის გაციფრულებასთან და ბაზების დისტანციურ წდომასთან. გაცვლითი პროგრამებით სტუდენტთა დაინტერესებასთან დაკავშირებით, პროგრამების ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების („ქართული ფოლოლოგია“, „ქართული ლიტერატურა“, „ქართველური ენათმეცნიერება“) თავისებურებებიდან გამომდინარე, ეს გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა დაწესებულების ხელმძღვანელობა იმსჯელებს თუ რა ფორმით იქნება შესაძლებელი გაცვლითი პროგრამებით სტუდენტთა ინტერესის დაკმაყოფილება.

ხარისხიის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის დაძლევის შეფასებისა და პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი და შედეგების ანალიზი, რასაც სისტემატირად ახორციელებენ. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა ახლად დანერგილ მექანიზმზე (დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“ განახლდა 2021 წლის 30 ივნისს), რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ფორმირებაში მონაწილე კომპონენტებისა და მათი როლის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განსაზღვრას, სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენას, მათ მიღწევაზე კონტროლსა და რეაგირების შესაძლებლობას (აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია პროგრამების კურიკულუმებში). კითხვაზე რა პერიოდულობით ხდება შეფასების ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ გამოკითხვები და აკადემიური მოსწრების ანალისი ყოველწლიურად ხორციელდება, სამიზნე ნიშნულებთან მიღწეული შედეგების დადარება კი მოხდება გეგმიურად (ინფორმაცია მითითებულია კურიკულუმების შესაბამის დანართებში). ამ მექანიზმის სრულად ამოქმედებამდე, ამ ეტაპზე პროგრამის ათვისების კონტროლის მექანიზმად გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა და ანალიზი. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ გარდა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზისა, გამოიყენება შეფასების სხვა მექანიზმები, მათ შორის: პროგრამების და პროგრამების კომპონენტების შემოწმება წინასწარ შემუშავებული უნიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების, სილაბუსის შემოწმების, სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასების მეშვეობით (მათი გამოყენება დასტურდება დაწესებულების მიერ სამივე პროგრამისთვის დამატებით წარმოგენილი შევსებული ფორმების ნიმუშებით). ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ხორციელდება პროგრამის თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების შესწავლა, მონიტორინგის დაგეგმვა, შეფასება და გარკვეული აქტივობების დაგეგმვა, რაც ასახულია დაწესებულების მიერ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტებში „პროგრამის გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების დაგეგმვა“ და „პროგრამის თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, მუშაობა და აქტივობები“ (ასე, დგინდება, რომ იგეგმება პროგრამის გაუმჯობესებისათვის 2022-2023 წელს დაგეგმილია ურთიერთდასწრების ცხრილი და კოლეგიალური შეფასება (სილაბუსთან

შესაბამისობის შესაბამისობის საკითხი; ბ) მეთიდი; გ) შეფასების ფორმები): 10. 10. 2022, 3.10. 2022 და 25. 10. 2022 (ქართველური ენათმეცნიერების პროგრამა); 10. 10. 2022, 5.10. 2022 და 18. 10. 2022 (ქართული ფილოლოგიის პროგრამა).

სხვა უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგების შესახებ კითხვები იყო დასმული პროგრამების ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალისთვის. კითხვაზე „მოხდა თუ არა სხვა უსდ-ების, მათ შორის უცხოური უსდ-ების, ანალოგიურ პროგრამებთან დადარება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით“, პროგრამების ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ ამ ეტაპზე, პროგრამების („ქართული ფილოლოგია“, „ქართული ლიტერატურა“, „ქართველური ენათმეცნიერება“) თავისებურებებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მათი შედარება უცხოური უსდ-ების პროგრამებთან, თუმცა ამას სამომავლოდ გეგმავენ სწავლების და შეფასების მეთოდების გაცნობის მიზნით. ამ ეტაპზე, მათ მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს უსდ-ების პროგრამები, მაგ.: 1) წარმოდგენილია (დამატებით) „ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი“, რომლის თანახმად: შერჩეულ იქმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ-სა და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამები; კვლევა ჩატარდა ინტერნეტში განთავსებული მასალების მიხედვით; გამოიკვეთა რეკომენდაციები: სამომავლოდ დაიგეგმოს გაცვლითი ლექციები (თუნდაც დისტანციურად) სტუდენტთა გაცვლითი მივლინებები. 2) წარმოდგენილია „ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი“, რომლის თანახმად: შერჩეულ იქმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის სასწავლო უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამები; კვლევა ჩატარდა ინტერნეტში განთავსებული მასალების მიხედვით. ასევე გამოყენებული იყო სატელეფონო კომუნიკაცია. გამოიკვეთა რეკომენდაციები: სამომავლოდ დაიგეგმოს გაცვლითი ლექციები; მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის შეხვედრა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიური პროგრამის აკადემიურ პერსონალთან გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით; 3. ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება; 4. ერთობლივი ჩართვა პროექტებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება, თუმცა მათი გამოყენების ერთიანი გეგმა (სქემა) არარსებობის გამო, არ დგინდება როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ. ასევე, გასაუმჯობესებელია საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების და შედეგების გამოყენების საკითხი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის („ქართული ფილოლოგია“, „ქართული ლიტერატურა“, „ქართველური ენათმეცნიერება“) უცხოეთის უსდ-ების ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარების სირთულის გამო.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობამ განაპირობა სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან მეტწილი შესაბამისობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 („ქართილი ფილოლოგია“, ბაკალავრიატი)

ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („ქართული ლიტერატურა“, მაგისტრატურა)

მითითებულ პროგრამაზე ვრცელდება კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება-ანალიზი და უშუალოდ ამ პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტის განხორციელების ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („ქართველური ენათმეცნიერება“, მაგისტრატურა)

მითითებულ პროგრამაზე ვრცელდება კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება-ანალიზი და უშუალოდ ამ პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტის განხორციელების ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- „წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“;
- „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმების დანართები (1. ქართული ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები; პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი დონეების მითითებით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება); სწავლის შედეგების თანხვედრა სასწავლო კურსებთან და მათი სემესტრული განაწილება; 2. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები; პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი დონეების მითითებით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება); სწავლის შედეგების თანხვედრა სასწავლო კურსებთან და მათი სემესტრული განაწილება; 3. ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები; პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი დონეების მითითებით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება); სწავლის შედეგების თანხვედრა სასწავლო კურსებთან და მათი სემესტრული განაწილება);
- საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების ფორმა, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- სილაბუსის შემოწმების ფორმა, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასება, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (და-მა-ტებით წარმოდგენილი);
- „ქართული ლიტერატურის“ და „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამები - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის მუშაობის შეფასების ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- „ფილოლოგიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის შეფასება“;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების მუსაობა და აქტივობები, 10.09.2022;
- „ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების დაგეგმვა, 2022-2023 სასწავლო წლისათვის“;
- „ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი“;
- „ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის პოტენციურ დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი“;
- „ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი“ (გაერთიანებული 2021-2022, ასევე 2021-2022 სასწავლო წლის სწავლის შედეგების შეფასება - I, II, III, IV კურსებისთვის);
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და კმაყოფილების კვლევის ანალიზი
- „ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელი“;

- „ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები„;
- „ქართული ფილოლოგიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალის საქმიანობის სწავლებასა და კვლევის ხარისხის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგების გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში“;
- „ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი“ (დამატებით წარმოდგენილი);
- „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების დაგეგმვა, 2022-2023 სასწავლო წლისათვის;
- „ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი“;
- „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამა - 2021-2022 სასწავლო წლის სწავლის შედეგების შეფასება“;
- „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამა - „სწავლის შედეგების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ და შესაბამისად პროგრამის გაუმჯობესება“;
- „ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები პროგრამის შესახებ“, 2021;
- „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამა - სწავლის შედეგების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ და შესაბამისად პროგრამის გაუმჯობესება;
- „ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი“;
- „ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების მუშაობა და აქტივობები“;
- „ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების დაგეგმვა, 2022-2023 სასწავლო წლისათვის“;
- „ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა პოტენციურ დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი“;
- „ქართული ლიტერატურის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი“, 2021-2022;
- „ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და კმაყოფილების კვლევის ანალიზი“;
- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებელი;
- „ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანგარიში„;
- „ქართული ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის საქმიანობის სწავლებასა და კვლევის ხარისხის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგების გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში“;
- ინფორმაცია ანალოგიურ პროგრამების შესწავლის შესახებ (თვითშეფასების ანგარიშის თანდართული და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები).

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
  - რეკომენდებულია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდეს საქართველოს უსდ-ების ანალოგიური პროგრამების დეტალური შესწავლა, შედეგების ანალიზი და ყოველივე ამის გამოყენება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სრულყოფისათვის.

კლასტერის საერთო რჩევები: -

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 („ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: მხოლოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციები.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 („ქართული ლიტერატურა“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 („ქართველური ენათმეცნიერება“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერება,	☐	X	☐	☐

მაგისტრატურა)				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

1. ქართული ფილოლოგია - ბაკალავრიატი
2. ქართული ლიტერატურა - მაგისტრატურა
3. ქართველური ენათმეცნიერება - მაგისტრატურა

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამისია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ფხაკაძე



თამარ გვიანიშვილი

ლიანა ზაკაშვილი